# სახალხო გაზეთი

№ 978 ხამშაბათი, 27 აგვისტო 1913 წ. № 978

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეებს გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა



# ქ. ტფილისში ვერის საქალაქო პარკთან

ყოველ დღე საღამოს 7—2 ს. ღამისა უკრავს სიმებიანი საკონცერტო ორკესტრი რომის კონსერვატორიის თავისუფალ ხელოვანის ე. ფაუსტინის ლოტბარობით. სკრიპკაზე დამკვრელის, სოლისტის კონევსკის და ვიოლონჩელზე დამკვრელის სტეფანჩაკის მონაწილეობით. 1409

გაიხსნა პირველ-ხარისხოვანი
## რესტორანი
მიმოსვლა შეიძლება მიხეილის პრ., კრილოვისა და პასტერის ქ., ოლღას ქუჩის მხრით—ბრევნოვოზნი ქ. ვერის ხიდიდან—სადგური მტკვრის მარჯვენა მხარეზე.

გვაქვს საზღვარ-გარეთის და აქაური სასმელები და ყოველგვარი ცივი სასმელები, სამზარეულო აზიური და ევროპიული. ფასები ზომიერია. სამაგალითო გადასახედავი, სალი და გრილი ჰერი.
ტელეფ. № 14—66.
რესტორანის ხელმძღვანელი ჯინჭარაძე.

უდიდესი ... 
## უსაყოველთაოდ ...
უოველკვირეული სურათებიანი დამატებით
პირველი აგვისტოდან წლის დამლევამდი, როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 3 მ. 75 კ.
თვეში ღირს 75 კაპ.
არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე.
მისამართი: Тифлисъ, „Сахалхо газети" Почт. ящ. 190.


მარიამ ანდრიას ასული გლადკოვისა და ნიკოლოზ გრიგორის ძე გლადკოვი შვილებითურთ დიდის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველი—საყვარელ მეუღლისა, მეორენი—ძმისა და ბიძის

## ივანე გრიგორის ძე გლადკოვის

გარდაცვალებას. ცხედარს სახლიდან (ელისაბედის ქ., სახ. № 167) გაასვენებენ სამშაბათს, 27 აგვისტოს, დილის 9 საათზე, დიდუბის ეკლესიაში. დაკრძალვა წმინდა ნინოს სასაფლაოზე. 577

ექიმი იასონ ისიდორეს ძე ჟორდანია, თავადი დავით ოტიას ძე ნიჟარაძე მეუღლით კნეინა მარიამ ირაკლის ასულით და შვილით ჯუმბერით გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 25 აგვისტოს, ქ. ქუთაისში უდროვოდ გარდაიცვალა პირველის—მეუღლე, მეორეთა—ასული და უკანასკნელის—დაუვიწყარი დაი

## ნატალია დავითის ასული ჟორდანიასი.

ცხედრის გამოსვენება თ-დ ნიჟარაძის ბინიდან (ინჟენერნი ქუჩა) და დაკრძალვა მოხდება 29 აგვისტოს, ნაშუადღევის 4 საათზე ქ. ქუთაისში. 1442


პირველ-ხარისხოვანი
# დ ი დ ი ც ი რ კ ი
## ძმ. ესიკოვსკებისა



მიხეილის პროსპექტ., მუშტაიდის შესავალთან, ნ. კუნდუხოვის ადგილზე, საკუთარი საზაფხულო გრილი სადგომი, ტრამვაი იქვე ჩერდება და შინ დაბრუნებისასაც მუშაობს.
დღეს, 27 აგვისტოს, 1913 წ. გაიმართება
## არაჩვეულებრივი წარმოდგენა,
რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი. წარმოდგენას სახელად ერქმევა ტფილისის ბომონდის საღამო. დღევანდელი პროგრამა ცირკის რეპერტუარის პირველ ხარისხოვან ნომრების გან არის შემდგარი. „თეთრი ეშმაკის" ტფილისში ყოფნის უკანასკნელი დღეები. ისინი შეასრულებენ მრავალ საშიშარ ოინ. აფეთქებელ ავტომობილით გამოსვლა მუსიკალურ ექსცენტრიკების ბ. ბროკარსებისა გამოსვლა ცხენით სალტომორტალისტის ჟოზეფისა. ფენომენალურ გვამით მოლაპარაკის ტარვიტის გამოსვლა. გამოსვლა სპორტმენზ ვაურნი ეკვილიბრის გ. მის ლისა და კარპისა. ანონსი: ხვალ, 28 აგვისტოს, 29 აგვისტოს უქმის გამო ცირკში წარმოდგენა არ იქნება
დ ა ს ა წ ყ ი ს ი საღამოს 8 ნახევ საათზე.
დირექცია ძმ. ესიკოვსკებისა. 578. გამგე: ლ. მ. ხუნდაძე.

პირველ ენკენისთვიდან იხსნება
# სამოქალ. ქართული პირველ-დაწყებით სკოლა ქალებისათვის
კუკიაში: რეუტოვის ქუჩა, № 11.
ქალების მიღება დაიწყო 26 აგვისტოდან. 560

## ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება
ქართველი მწერლების შემდეგი ლექსები და პოემები:

| | |
|---|---|
| ბარათაშვილის ლექსები . . 40 კ. | ორბელიანი გრ. ლექსები, . . 20 „ |
| ბაჩანა დიაკვნიანი . . 20 „ | „ ვახტანგი, . 60 „ |
| ბესიკი. ლექსები, სიტყ.-კაზ. გამოც 1 მ. | „ ნინო, . . 30 „ |
| განდეგილი ლექსები, . . 50 „ | რაზიკაშვილი ნ. დაბადება და აღზრდა ერეკლე მეფისა, . . 15 „ |
| გრიშაშვილი ოცნების კოცნა, . 10 „ | სილოვანი. ჩემი აზრი და ფიქრები № 1, 20 „ |
| გურამიშვილი. დავითიანი . 1 მ. | „ ცხოვრ. სურათები, № 2, 20 „ |
| დუტუ მეგრელი, . . . 70 „ | „ ალსარება, № 3, . . 5 „ |
| „ მწარე ფიქრები, . 20 „ | „ ლექსები 1879—1891 . 50 „ |
| ევდოშვილი. . . . 60 „ | „ სიმები, . . . 5 „ |
| ერისთავი რაფ., ტ. 1-ლი, . . 1 მ. | ქართ. პოეტ. რჩეულ. ლექსები, . 25 „ |
| „ ტ. 2-ე, . . 40 „ | ჩახრუხაძე. ქნარი, . . . 20 „ |
| ვეფხის ტყაოსანი, . . 60 „ | შანშიაშვილი. შვების თავადი, . 60 „ |
| ვაჟა-ფშაველა, . . . 1 მ. | „ ქება-ქებათა და სულამიტ. 10 „ |
| „ ახუნდი, . . . 5 „ | ცის-სარტყელა, სალიტ. კრებული, 15 „ |
| „ ბახტრიონი, . . 20 „ | |

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 112

# ვაგზლის კერძო სამკურნალო
გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.
**ე. ს. გაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგანავადმყ. 9½ ს. 10 ს.
**ა. ნ. დიასამიძე.** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—1½ ს.
**ზ. ა. პოპოვი.** ყოვ. დღე, კვირის გარდა ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—1½ ს.
**ექ. ქალი იოსელიანისა**—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—1½ ს.
**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.
**გ. გ. კლდიაშვილი.** ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.
მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი. აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.
ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.
## წამლობა „606"-ით
1035

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი** სწამლობს საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ.; ვასსერმანის რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, სათოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

ელექტრონის და რენტგენის
სამკურნალო
## მიხ. გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყოროღანოვის ქ. № 20. წ. 1023

**ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი** ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი. 546

**ექიმი ა. შ. მიქელაძე** 15 ივნისიდან მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117 ტელეფონი 816.

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3, სახ. გაბაშვილისა.

კბილის
**ექიმი ა. გ. ხოლოდაშვილი** დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. გოლოვინის პროსპექტი, სახლი მდივნისა, № 12.

**ექიმი გ. მუსხელიშვილი** 1 მარიამობისთვიდან მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

კბილისა
**ექიმი არჩილ დოლიძე**
დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან და განაახლა ავადმყოფ. მიღება ძველ ბინაზე (ნაძალად., ჩერქეზიშ. ქ. № 145). ყოვ.-დღ. 8—2 ს. 4—7 ს. 427

# საბურთალოზე
მშვენიერ ალაგას
ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის [illegible] ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.
მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1220

გამოვიდა და იყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში ახალი სალიტერატურო—სამეცნიერო—კრებული
# ვეირმეინი
ფასი ერთი მანეთი

1. შოთა რუსთაველი, გრ. რობაქისა.
2. სუმერული და ქართული, მ. წერეთლისა.
3. ოიდიპოს მეფე, თარგმ. ბერძნულით ვ. ქავთარაძისა.
4. მეფე-მგოსანი, სანდრო შანშიაშვილისა.
5. ღამე, ს. ფირცხალავასი.
6. გლოვის ზარი, მისივე. 1371

# განქორწინების საქმეებს ვაწარმოებ
ცოდნით, კეთილსინიდისიერად და დაწვრილებით, დარიგებას ვაწვდი, აგრეთვე შემდეგ საქმეების შესახებ: შვილობილობისა და დაკანონებისა, პენსიისა, ერთდროულ დახმარებისა, საპატიო მოქალაქისა და აზნაურობის უპირატესობათა შუამდგომლობას, ვადგენ სხვა და სხვა ხასიათის თხოვნებსა და საქმის ქაღალდებს, ვკისრულობ საბეჭდავ მანქანით გადაწერვას. მიღება ყოველ დღე დილის 10-დან 2 ს. დე და საღამოს 5-დან 7 ს. დე.
ტფილისი, მიხეილის პროსპექტი, სახ. 118, პირველ სართულში. 1438

ამ წლის პირველ სექტემბერს
## სამეურნეო წინამძღვრიანთ-კარის სკოლაში
მიიღებიან ჯანმრთელნი ყმაწვილები არა ნაკლებ ათის წლისა. სკოლის მმართველს უნდა გადაეცეს ქაღალდები: მეტრიკა, მოწმობა ექიმის, რომ ყმაწვილი აცრილია და მოწმობა იმ სასწავლებელისა, სადაც დაუმთავრებია სწავლა, რომ იგი ყმაწვილი კარგი ყოფა-ქცევისაა. 1444

# ახალი წიგნის მაღაზია
ქ. ი. ოცხელისა
ქუთაისში, ალექსანდრეს ქუჩაზე, ზ. კოკოჩაშვილის სახლში გაიხსნა
## უდიდესი წიგნის მაღაზია
კონსტანტინე ივანეს ძის ოცხელისა.
ახალ მაღაზიის შეძენილი აქვს მეტად მრავალი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნი
ახალ მაღაზიის სურს შუამავლობა გაუწიოს პროვინციის წიგნის მაღაზიებს, სასწავლებლებს და წიგნთსაცავებს, რომელთაც დაეთმობათ წიგნები, რაც შეიძლება, ფას-დაკლებით, ამას ყველა დარწმუნდება მაღაზიის პირდაპირი გაცნობით.
ახალი მაღაზია გახსნილია იქ, სადაც აქამდე მთავრიშვილის ყოფილი ამხანაგობის წიგნის მაღაზია არსებობდა; მის გვერდით გამართულია დ. ი. ოცხელის სპეციალური საკანცელარიო მაღაზია, სადაც მოიპოვება ყოველნაირი სასწავლო ნივთი ძლიერ იაფად. 1419

ბრიუსელის გამოფენაზე 1901 წ. GRAND PRIX.
## შპალიერის (ОБОИ) ქარხანა ძმ. ტარნოპოლების.
განყოფილება იმყოფება გოლ. პროსპ., № 21, ტელ. № 355
მიღებული გვაქვს ძვირფასი ნახატები.
იყიდება რუსეთის ყველა ქალაქებში. ფასი ყველა (სრული ზომის 11¼ არშ.) შპალიერისა, საფაბრიკოა 8 კ. ვიდრე 6 მ. თოფი. ნიმუშები დაეთმობათ უფასოდ, როგორც ქალაქებში, ისე ქალაქ გარედ მცხოვრებთ.
ოქროს მედალი ოდესის გამოფენაზე 1910 წ. 1137
ოქროს მედალი როსტოვის გამოფენაზე 1910 წ.
ოქროს მედალი სამარის გამოფენაზე 1910 წ.

გამოსულია და იყიდება
## ნ. შიუკაშვილის
პიესა **„მემკვიდრეობა"**, დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

# ტფილისის კერძო სამკურნალო
ქნინიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.
ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.
სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.
მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | მანსვეტაშვილი ვ. მ. ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს.<br>მალალაშვილი გ. გ. სამშაბ. და შაბათობით 10—12.<br>მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე 12½—1 ს.<br>ფედოროვი ე. გ. ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1.<br>ექ.-ქალ. ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა. ყოველ-დღე გარდა კვირისა 12—1 ს. |
| ქირურგ. სნეულებანი. | მარკევიჩი ვ. ლ. კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½.<br>მელიქიშვილი ნ. ა. ყოველ დღე 10—1.<br>ფირადოვი რ. გ. ყოველ დღე 12—1. |
| ქალთა და სამშობ. სნეულებანი. | ექიმი-ქალი ვერბიცკი-ფირადოვისა ლ. ყოველ დღე 11—12.<br>თიკანაძე ი. ე. ყოველ დღე 1—2.<br>მელიქიშვილი ნ. მ. ყოველ დღე 10—1. |
| ბავშვთა სნეულბ. | ექ.-ქალ. ბაქრაძე-დედაბრიშვილისა ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—1½.<br>მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე 12½—1.<br>ფედოროვი გ. ს. ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1. |
| [illegible] სნეულებ. და ელექ. | ჯავახიშვილი ნ. ნ. სამშაბ. ხუთშაბ. და შაბათ. 1[illegible]—1<br>ფონდოვიჩი ბ ს. ყოველ დღე 1—2. |
| ყელ. ყურის და ცხვირ. | ათენიანცი ნ. ა. ყოველ დღე 12½—1½.<br>ორემბოვსკი ნ. ს. ყოველ დღე 1½—2. |
| თვალის სნეულ. | მუსხელიშვილი ვ. ს. ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½. |
| კან. და ვენერ. ავ. | დიასამიძე ა. ნ. ყოველ დღე 11½—12½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606"-და „914" წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. წ. 1035


# ქართული პრესა

ჩვენი ცხოვრების ერთს დიდ უბედურებას წარმოადგენს წიგნების გამოცემის და გავრცელების მოუწყობლობა. წიგნი ძლიერ ცოტა იბეჭდება, რაც იბეჭდება, ვერ იყიდება, და თუ გაიყიდა, ფული გამომცემელსა და ავტორამდე აღარ მიდის. კიდევ უარეს მდგომარეობაშია ჟურნალ-გაზეთების გავრცელების საქმე. ასეთი რედაქცია არაა ჩვენში, რომ ასობით და, შეიძლება, მეტიც არ ჰქონდეს დიკარგული აგენტებსა და გამყიდველებზე. ეს გარემოება მეტის-მეტად აფერხებს გაზეთის წარმოებას.

ჩვენებური მწიგნობრობის მოუწყობლობას აღნიშნავს „ბათომის გაზეთში" სპ. ქელიძე და მოუწოდებს გამომცემელთა და მოვაჭრეთა შეკავშირებისათვის:

„არსად ისეთ გულგრილობასა და უყურადღებობას არ იჩენენ თავის საქმისა და მოწოდებისადმი, როგორც საქართველოში ქართველი მწიგნობრობის წარმომადგენელნი. ყველგან არსებობს ერთი და იმავე პროფესიის წარმომადგენელთა კავშირი, ამხანაგობა, საზოგადოება. ჩვენში კი ერთმანეთს გაურბიან და დაქსაქსულად მოქმედებენ. ასეთი მუშაობის შედეგი მუდამ ის არის, რომ ვერც კერძოდ თავისთვის და ვერც საზოგადოდ ვერაფერ სასიკეთოს ვერა ჰქმნიან. ეს თუ ითქმის საზოგადოდ, კერძოდ ზედ გამოჭრილია ჩვენს ქართველ წიგნების გამომცემლებზე და წიგნების მოვაჭრეებზე. იმ დროს, როცა მთელი ტფილისის, ქართლ-კახეთისა და იმერეთის ქართული წიგნების ბაზარი ხელში ჩაიგდეს ებრაელებმა, სომხებმა და აისორებმა, რომელნიც ყოველად უშინაარსო, გრძნობა გონების გამრყვნელ-გამათახსირებელ წიგნების აწვდიან ხალხს, ამ საქმით ფულს იგებენ და ქართული წიგნების გამომცემელნი და მოვაჭრენი კი ამ გარემოებას გულგრილად უყურებენ. მათ ვერ მოუხერხებიათ შეკავშირება, რომ საერთო ძალღონით ხალხს მიაწოდონ ჩვენი და უცხოელი მწერლების ნაწარმოებნი, იაფფასიან გამოცემებად, რათა ამით ქართული წიგნების ბაზრიდან განდევნონ ზემოხსენებული ჩვენი მწიგნობრობის პარაზიტი, მავნებელი პირები და მკითხველი იხსნან მათ მიერ მიწოდებულ წიგნების გამრყვნელ გამათახსირებელ გავლენისაგან.

ამავე საგანს ეხება „თემში" ის. კვიცარიძე, ხოლო იგი სხვა პრაქტიკულ საშუალებას ასახელებს. [illegible]

„ჩვენი ქვეყნის ორი დედა-ქალაქის—ტფილისის და ქუთაისის [illegible] საზოგადოებას შეუერთდეს ყველა მეწიგნეები და გამომცემლები, გავხდეთ იმათ წევრებად, შევიტანოთ მათ კაბინეტურ ცხოვრებაში მეტი პრაქტიკული საქმიანობის უნარი, სიცოცხლე და იმათი სახელით მოვაწყოთ და ვაწარმოოთ ეს სახალხო, განმანათლებელი საქმე. ეს საქმე კი ამ საზოგადოების შესაფერისია და მისი სახელით მოქმედება მასაც დიდ თანაგრძნობას მოუპოვებს და ამ დიად ეროვნულ დაწესებულებასაც გააღონიერებს. მაშინ კი პოლონეთ-ფინლანდიის „მატიცების" შემნატრი მარტო სიტყვით როდიღა ვიქნებით, არამედ საქმითაც დავანახვებთ ხალხს, რომ მათთვის მარტო კაბინეტებში კი არ ვიღწვით, არამედ პრაქტიკულ მუშაობასაც ვეწევით"...

# ახალი ამბავი

### ტფილისი

◆ მეფის მოადგილეს გრაფ ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვს ტფილისს 10 სექტემბერს მოელიან.

✦ **დიდმა მთავარმა ნიკოლოზ მიხეილის ძემ** გუშინ, საღამოს 6 საათზე, ბალაჯარიდან ტფილისში გზად გაიარა. დიდი მთავარი ბორჯომს გაემგზავრა.

✦ **„რუსკოე სლოვოს“ მეორე ნაწილი.** განსვენებულის იაკობ გოგებაშვილის რუსულ სახელმძღვანელოს „რუსკოე სლოვოს“ მეორე ნაწილი შევსებული და შესწორებული წერა-კითხვის საზოგადოებას უკვე დაუბეჭდია. ამ გამოცემაში ბევრი საყურადღებო შესწორებაა შეტანილი; წიგნში ჩართულია ორმოცდა ათზე მეტი ახალი სურათი, გამოცემულია სუფთად კარგს ქაღალდზე, ფორმატიც გადიდებულია და წიგნიც ეხლა თექვსმეტი გვერდით მეტს შეიცავს. საჭიროა ქართული სკოლის მასწავლებლებმა მეტი ყურადღება მიაპყრან ამ გამოცემას, რომლის შესახებ დაწვრილებით ცნობას შემდეგ დავბეჭდავთ.

✦ კვირას 25 აგვისტოს ნაშუადღევის 2 საათზე ავტომობილებით სოფ. დიდ ლილოს გაემგზავრნენ: მეფის მოადგილის თანაშემწე სენატორი ვატაცი, ტფ. გუბერნატორი ა. ჩერნიავსკი, ტფ. გუბერნიის თავ.-აზნ. წინამძღოლი თავ. კ. აფხაზი, ქართ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების თავმჯდომარე თავ. დ. ჩოლოყაშვილი და სამეურნეო საზოგადოების საბჭოს წევრები. დიდ ლილოში მათ დაათვალიერეს რძის კოოპერატიული ამხანაგობა, ამხანაგობის ძროხები, წვრილი კრედიტის დაწესებულება, შემდეგ იქვე ისადილეს. სადილის დროს სოფლელებმა იქვე გამართეს ცეკვა-თამაში და ჭიდაობა. მგზავრობით ყველანი კმაყოფილი დარჩნენ და საღამოს ისევ ტფილისს დაბრუნდნენ.

✦ მიწად-მოქმედების დეპარტამენტის მიერ გამოგზავნილი ბ. **ფ. კრისტაფორავიჩი** მაბათიდან შეუდგა ხილის გახმობის ჩვენებას. ეს საქმე მოწყობილია ტფ. საბაღოსნო სკოლასთან. მსურველთ ხილის გახმობის ნახვა და შესწავლა შეუძლიანთ ყოველ დღე დილით 10 საათიდან ორამდე და საღამოს 5 საათიდან.

✦ ტფ. ქართულ გიმნაზიაში მასწავლებლობას **თავი გაანება მასწავლებელმა გ. ნათაძემ.** ამის გამო გიმნაზიის მასწავლებელთა ჯგუფს გადაუწყვეტია სთხოვონ ბ-ნ ნათაძეს არ მიატოვოს მასწავლებლობის ადგილი ხსენებულ გიმნაზიაში.

✦ **ოქმები.** 25 აგვისტოს მესამე უბნის სავაჭრო-სამეურნეო მეთვალყურემ ე. გ. ლიამიძემ ექვსი ოქმი შეუდგინა ტრამვაის დირექციას ქუჩების დაუგველობისთვის.

✦ გუშინ, დილით, **გერმანიის დესპანი** კურტალესი ბათომიდან ტფილისს ჩამოვიდა.

✦ **საგანმანათლებლო კურსებზე,** რომელსაც სკოლის გარეშე ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება აწყობს მოზრდილთათვის, 26 აგვისტოდან მსმენელთა ჩაწერა დაიწყო. კურსები მოთავსებულია ჩერქეზიშვილის ქუჩაზე, № 9.

✦ **კავკასიის მუზეუმის** შენობის საძირკველი გუშინ ჩაჰყარეს და აკურთხეს. დაესწრნენ: მეფის მოადგილის თანამდებობის აღმასრულებელი გენერალი ნ. პ. შატილოვი, მეფის მოადგილის თანაშემწე სენატორი ე. ა. ვატაცი, გუბერნატორი ა. გ ჩერნიავსკი, ქალაქის მოურავი ა. ი. ხატისოვი და სამხედრო და სამოქალაქო უწყების უმაღლესი წარმომადგენელნი.

✦ **სინოდის უქაზი.** საქართველოს საეგზარხოსოში არსებობს შემდეგი წესი: თუ რომელსამე სოფელში არის ისეთი კაცი, რომელსაც ქურდობა, მკვლელობა, ან რაიმე სხვა ბოროტმოქმედება ბრალდება, მაშინ მღვდელს გამოატანინებენ ხოლმე ეკლესიიდან ხატს და ხალხს აფიცებენ. საქართველოს ეგზარხოსის მოხსენების თანახმად სინოდმა არა სასურველ მოვლენად სცნო მღვდლების მონაწილეობა ბოროტმოქმედებათა აღმოჩენის საქმეში და ქართლ-კახეთის სასინოდო კანტორის საგანგებო უქაზით წინადადება მისცა, მოსპოს ეს ჩვეულება.

✦ **შეწირულობა.** საქართველოს ექსარხოსისგან ნება-დართულ კომიტეტს სამების ძველი სავანის (ტფილის. მაზრაში) აღსადგენად სამხედრო უწყების მღვდელმა მ. დიმიტრი ვარდიაშვილმა 150 მან. შესწირა.

✦ **ჯამაგირის მომატება.** თანახმად მიღებულ უქაზისა მომავალ სამოსწავლო წლიდან საქართველოს საექსარხოსოს სასულიერო სასწავლებლების უფროსთ და სემინარიის რექტორს ჯამაგირები ემატებათ. პირველნი მიიღებენ 3500 მ. (დღემდე 1776 მან.), ხოლო რექტორი 5110 მ. (დღემდე 2800 მ.).

**მონასტრების რევიზია.** ტფილისში დაბრუნდა საქართველოს საექსარხოსოს მონასტრების ბლაღოჩინი არქიმანდრიტი ნაზარიოსი, რომელსაც დაუთვალიერებია შუამთის, ბოდბის და ხირსის მონასტრები.

✦ **შიოევისეული სახლის** საკითხის გამო ქალაქის გამგეობას რამდენიმე კრება ჰქონდა. გამგეობა იმ აზრს დაადგა, რომ შენობა უნდა გადაკეთდეს საგანგებო სატეხნიკო კომისიის შენიშვნების თანახმად შეცვლილ პროექტისა. ამ პროექტის განხორციელება ვარაუდით 150,000 მან. დაჯდება. ქალაქის საბჭოს 80,000 მან. უკვე გადადებული აქვს, საჭირო კიდევ 70,000 მ. ქალაქის გამგეობამ დაადგინა, სთხოვოს საბჭოს, საჭირო ფული გადასდოს.

შიოევისეულ სახლის საკითხისავე გამო დღეისთვის დანიშნულია შეერთებული კრება ქალაქის საბჭოს საფინანსო, სატეხნიკო და სამეურნეო კომისიისა. კრების მოსაზრებანი საბჭოს წარედგინება.

✦ **საბირჟო ცნობები** 26 აგვისტოს ტფილისში შეთანხმება არ მომხდარა. პროცენტიან ქაღალდების ფასი შემდეგი იყო: ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 5% ობლიგაციებისა: აფასებდნენ—84 მ. 85 კ., აძლევდნენ—84 მან. 30 კ., ტფ. სათავადო-აზნაურო სააღგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებდნენ—82 მ. 65 კ. აძლევდნენ—82 მან. 35 კ. და ქუთაისის სათავადო-აზნაურო სააღგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებდნენ—80 მ. 25 კ., აძლევდნენ—78 მან. 70 კ., სახელმწიფო მომგებიან ბილეთების საკურსო ნორმა შემდეგი იყო: პირველ სესხის ბილეთებისა—489 მან. მეორისა—361 მან. 50 კ. და მესამისა—316 მან.

✦ **ტფილისს ეწვევიან** როსტოვიდან რკინის გზების ნივთიერ განყოფილებათა წარმომადგენლების კრების მონაწილენი. კრება იყო დონის როსტოვში და ამ დღეებში დასრულდა. სტუმარნი ტფილისში რამდენსამე დღეს დარჩებიან და დაათვალიერებენ სარკინიგზო დაწესებულებებს. ამავ აზრით ისინი 31 აგვისტოს ბათომს ესტუმრებიან.

✦ **შიოევისეულ სახლის** საკითხის გამო ქალაქის საბჭოს საგანგებო კრება ოთხშაბათ, 28 აგვისტოსთვის დაინიშნა. როგორც გავიგეთ, ხმოსანთა ერთი ჯგუფი აუცილებელ საჭიროებად სთვლის, მთელი სახლი საძირკვლიანად დაანგრიონ და იმის ადგილას ახალი 4—5 სართულიანი სახლი ააგონ, რომელიც ქალაქს კარგს შემოსავალს მისცემს.

✦ ქალაქის მთავარ კონტროლიორის თანაშემწე ა. ა. ზურაბიანი ქალაქის გამგეობის მესამე განყოფილების ბუჰგალტრად დაინიშნა ნაცვლად პოპელისა, რომელმაც სამსახურს თავი დაანება. ზურაბიანის ადგილას დაინიშნა ქალაქის საბჭოს სარევიზიო კომისიის მდივანი ა. ს ალაჯანოვი. უკანასკნელის ადგილი ამ ჟამად თავისუფალია.

## სასწავლებლებში

✦ **ახალი სკოლები.** მომავალ სამოსწავლო წლიდან ახტალისა და ხუდჯაბის (ბორჩ. მაზრა) საქალებო მონასტრებთან არსდება ერთ-კლასიანი სამრევლო სკოლები.

## ბორი.

✦ ადგილობრივ სავაჟო გიმნაზიაში მათემატიკის მასწავლებლად მოწვეულია **ამბროსი ბესარიონის ძე მებურიშვილი.** იგი მოიწვიეს ბ. ლაურის ნაცვლად. ეს ის ლაურია, რომელმაც 1910 წ. ბ. სნიტკოსთან ერთად იერიში მიიტანა ქართულ ენაზე გიმნაზიაში. ლაური გადაიყვანეს შიდა რუსეთში. მისი მოწაფენი წარსულ გაზაფხულზე რევიზიის დროს მეტად სუსტნი აღმოჩნდნენ მათემატიკაში.

✦ ამავე გიმნაზიაში იცლება ქართული ენის მასწავლებლის ადგილი, რადგან, როგორც გავიგეთ. გ. ი. ცინცაძე მასწავლებლად ქუთაისში გადადის.

✦ კარგა ხანია აქ გავრცელებულია რაღაც **მუცლის ავადმყოფობა.** მოედო მეტადრე ბავშვებს. სამწუხაროდ არავინ აქცევს ყურადღებას ამ სენს.

✦ აგერ რამდენიმე ხანია დაშრა გორიჯვრის ეკლესიის წყარო და მლოცველნი, რომელნიც აქ თითქმის მუდმივ არიან, უწყლოდ იყვნენ დარჩენილი. ამისთვის ეკლესიის მზრუნველს უკვე მიუქცევია ყურადღება და კიდეც შეუდგნენ წყაროს გამოყვანას რამდენიმე ვერსის მანძილიდან. ხარჯის ნაწილს ეკლესია კისრულობს. ბეგარაზე გაწვეულია რამდენიმე სოფელი.

# ტრამვაი და ქალაქის გამგეობა

**ტრამვაის მუშათა გაფიცვის გამო**

გუშინ ტფილისში ტრამვაის მუშათა გაფიცვა დაიწყო და მთელი ქალაქის მოძრაობა და მაჯის ცემაც მოდუნდა. ნათქვამია „ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მას უკან გამოჩნდებაო“ და ასეც მოხდა. ახლა ყველა კარგად გრძნობს, რაოდენ აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ქალაქისთვის ტრამვაი. უეჭველია, დიდს უსიამოვნობასა და ზარალს მიაყენებს ეს გაფიცვა ტრამვაის დირექციასაც, რომელსაც გაფიცვის თვითეულიდღე მეტად ძვირად დაუჯდება. როდის დასრულდება გაფიცვა, ამის თქმა ამ ჟამად, რასაკვირველია, ნაადრევია, ისიც გამოურკვეველია, როდის მიიღებენ მუშები თავიანთ მოთხოვნილების პასუხს დირექციისაგან. მუშათა მოთხოვნილებანი დირექციამ მხოლოდ 25 აგვისტოს, ღამით გჰაგზავნა დეპეშით ბრიუსელში, სადაც მოთხოვნილებათა განხილვას, ალბად, რამდენსამე დღეს მოანდომებენ. პასუხი ტფილისში მოსალოდნელია მხოლოდ ერთის კვირის შემდეგ და ამ ხნის განმავლობაში ტრამვაის ვაგონების მოძრაობა ქალაქში შეწყვეტილი იქნება.

გაფიცვა უეჭველია ახალ სადავიდარაბო საქმეს გამოუჩენს ქალაქის თვითმმართველობასაც, რომელიც დირექციას გაფიცვის თითოეულ დღისთვის დააჯარიმებს. როგორ მოექცეს ქალაქი დირექციას, დააჯარიმოს თუ არა, ამის შესახებ ქალაქის გამგეობას კრება ექნება. ბევრი იმ აზრისა არის, რომ ხელშეკრულობის ძალით დირექცია აუცილებლად უნდა იქნეს დაჯარიმებული.

ამავე საკითხის გამო ჩვენს თანამშრომელს გუშინ საუბარი ჰქონდა ქალაქის კონტროლიორ ა. ს. ლანდიასთან. თანამშრომლის შეკითხვაზე, როგორ უნდა მოექცეთ დირექციას გაფიცვის დროსო, კონტროლიორმა განაცხადა:

— ჩვეულებრივად. ისე, როგორც აქამდე ვიქცეოდით.

— დააჯარიმებთ თუ?

— აუცილებლად. არამც თუ დავაჯარიმებთ, შეიძლება ამ გაფიცვას, თუ ის დიდხანს გაგრძელდა, შედეგად მოჰყვეს ტრამვაის მთელი წარმოების ჩამორთმევაც.

— გაქვთ თუ არა მოცემული სამოქმედო ინსტრუქცია ამგვარ შემთხვევისთვის.

— არავითარი გარკვეული ინსტრუქცია არა მაქვს. არსებობს მხოლოდ ქალაქსა და ტრამვაის დირექციის შორის დადებული ხელშეკრულობა, რომელიც მეტად ვრცელია!

— არის თუ არა ხელშეკრულობაში ისეთი მუხლი, რომლითაც შეიძლებოდეს ხელმძღვანელობა ასეთს შემთხვევაში?

— როგორ არა? აი, მაგალითად, ხელშეკრულობის მე-23 მუხლი, სადაც გარკვევით შემდეგია ნათქვამი: „ყველა შტოზე ტრამვაის მოძრაობა კონტრაგენტისთვის სავალდებულოა მთელის წლის განმავლობაში და მის შეწყვეტა უნდა მოხდეს მხოლოდ ქალაქის გამგეობის ნებართვით. კონტრაგენტი პასუხს არ აგებს, თუ მოძრაობა შესწყდა მისგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო (force majcre), მაგალითად, ჯარის გადასვლისა, ან ნიაღვრისგან გზის გაფუჭების გამო და სხვა... კონტრაგენტი მოვალეა ღონისძიებანი მიიღოს მოძრაობის ჩქარა აღსადგენად“.

— ეს კარგი, მაგრამ თქვენ როგორ გესმით: ვისი მიზეზით შეჩერდა მოძრაობა?

— უეჭველია თავი და თავი მიზეზი არის დირექციის დამოკიდულება თავის მოსამსახურეებთან. მოსამსახურეთა ახლანდელი მოთხოვნილებანი წმინდა ეკონომიურის ხასიათისა არის და დირექციას მოსამსახურენი გაფიცვამდე არ უნდა მიეყვანა. ამას გარდა საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ ეს მოთხოვნილებანი, როგორც გავიგე, ახალს არაფერს წარმოადგენს. ის უფლებანი, რომელსაც თხოულობენ, მუშებს უკვე ჰქონიათ ოდესღაც მოპოვებული და დირექციის დროს... განმავლობა ნელ-ნელ წაურთმევია. ასე რომ, მ[uშ]ები ამჟამად თხოულობენ მხოლ[ოდ] ძველი პირობების აღდგენას. ამგვ[არ] საშუალებით დირექციას შეუძლ[ია] მუშები აიძულოს, ყოველ თვე გ[ა]ფიცნონ და ვინ რა შუაშია, გარ[და] თვით დირექციისა? ამას გარდა, მეტად მიმაჩნია, ხელშეკრულობ[ა] სხვა და სხვა განმარტება მივცე საქმე ამ გვარად მესმის: ვაგონ[ი] არა მუშაობს, მოქალაქეთა ინტერე[სი] იჩაგრება და დირექციამ ამისთვ[ის] ჯარიმა უნდა იტვირთოს.

— ესეც მითხარით: დღეში რამდ[ენ] მანეთამდე ავა ჯარიმა?

— დღეში 4680 მანეთამდე. [ა]რომ, ქალაქი რომ ამ გზას დაადგ[ეს] და გაფიცვა გაგრძელდეს, მაშ[ინ] ტრამვაის გამოსყიდვა შესამჩნევ[ად] გაადვილდება.

— ჯარიმის რაოდენობა რანაირა[დ] არის განსაზღვრული ხელშეკრულო[ბა]ში?

— ეს საკითხი სრულიად გაპორკვე[ვ]ულია იქ. ხელშეკრულობის მე-4[..] მუხლის მეოთხე შენიშვნა შემდე[გს] ამბობს: „არა საპატიო მიზეზთა გამ[ო] მოძრაობის გვიან დაწყებისა, ადრე გათავებისთვის იმ დრომდ[ე], რომელიც განსაზღვრულია ქალაქ[ის] გამგეობის მიერ, ან ვაგონთა მცირ[ე] რიცხვის გამოშვებისათვის, კონტრ[ა]აგენტი მოვალეა ქალაქის სასარგებ[ლ]ოდ იხადოს თვითეულ ვაგონზ[ე] საათში ორი მანეთი. „და აი, მე ვერ ვხედავ ისეთ მიზეზებს, რომელ[იც] სა მე-23 მუხლში აღნიშნულ მიზეზ[ებ]თა ხასიათი ჰქონდეს. ამიტომ მ[ე] ყოველ-დღე ჯარიმებს შევადგ[ენ] და ქალაქის მთავარ კონტროლიორ[ს] გადავცემ ქალაქის გამგეობაში წარ[მო]სადგენად. არ ვიცი ქალაქის მამებ[ი] როგორ შეხედავენ ამ საქმეს, ჩემი აზრით კი აუცილებელი და კანონი[ერ]ერიც იქნება ის ღონის-ძიებან[ი], რომელიც ზემოდ დავასახელე.

# ცხოვრება და ხელოვნება

**ჩვენი ახალგაზდა მწერლები**

**ბ. ჯ. ჯორჯიკია.**

V. *)

ამგვარ ფიქრებს აღგვიძრავს ბ-ნი ჯორჯიკია თავისის მინიატურებით. ჭეშმარიტად მინიატურა არის. ხომ გინახავსთ მუზეუმში მინანქრის მინიატურები, ხელოვნებითაა გაკეთებული, რა ფერადებია შერჩეული, რანაირად მკაფიოდ არის გამოსახული სურათი, რა გამომეტყველება აქვს მიცემული სახეებს. სწორედ ამგვარია ბ. ჯორჯიკიას ხელოვნება. რამდენიმე სტრიქონი და მთელი ზღვა პოეზიისა, სილამაზისა, სიმშვენიერისა და ღრმა აზრისა და მთლად ყოველივე ამის დაკაშკაშებს „ცა-ფირუზ“ და ბრწყინვალე მზე სიხარულისა და ნეტარებისა თავისის ცხოველმყოფელი სხივებით ავარაყებს მათ, კიდევ მეტი აცხოველებს, ათბობს მას. დიაღ, მზე, ეს დიდებული სიმბოლო ცხოვრებისა, სიცოცხლისა და ბედნიერებისა, ის მზე, რომლის სიბრძნე და გულმოწყალეობა გულითა სწამს ჩვენს ავტორს. აბა წაიკითხეთ მისი „მზის სიბრძნე“ [1]) მზემ თავისი ერთი სხივი გაფურჩქნულ ვარდ-შროშანისაკენ გაგზავნა. სხივი მალე უკან დაბრუნდა, „დედა-მზეს“ შესჩივლა ვარდ-შროშანამ სტუმართმოყვარეობა ვერ გამიწია, „მინდოდა გამოვეღვიძებია, სიცოცხლე შთამებერა, გამეფურჩქნა და გაზაფხულის სწორ-უპოვარ გვირგვინისათვის ერთი თვალ-მარგალიტი მეძღვნა, მაგრამ ვარდ-შროშანმა აყვავება არ მოისურვა“-ო, მზეს ეს სიტყვები არ ეჭაშნიკა და თავის შვილ-სხივსა ასე უთხრა:

— „გაზაფხულის მოახლოვების წინასწარმგრძნობმა ვარდ-შროშანამ რომ აყვავება არ ისურვოს, ეგ ყოვლად შეუძლებელია. არა, ჩემო კარგო, აქ სულ სხვაა დაფარული: ძლიერ ნაკლებად წაგიღია თან იგი (ცხოველმყოფელი **ცეცხლი,** [2]) რომელიც დედამიწაზე სიცოცხლეს, სილამაზესა და სიყვარულს წარმოშობს“.

ჭეშმარიტად რომ ბ. ჯორჯიკიას უფრო სხვა სხივი სტუმრებია, ის სხივი, რომელსაც ბლომად წაუღია თან ძლევამოსილი, სიცოცხლისა, სილამაზისა და სიყვარულის წარმომშობი ცეცხლი და ამ ცეცხლს გაუჩაღებია მის გულში მომხიბლავი ნიჭიერება.

ამ ნაწყვეტში სჩანს ბ. ჯორჯიკიას ჯანსაღი ახალგაზდური ძალღონით აღსავსე შეხედულება ბუნების შესახებაც. ბუნების ძალნი არა თუ ძლიერნი არიან, იგინი კეთილისმყოფელნი, ცხოველმყოფელნიც არიან, იგინი სცდილობენ ბუნებაში გააბნიონ სიცოცხლის მიმნიჭებელი ცეცხლი, ბუნება სიმშვენიერითა და სიტურფით, სიყვარულითა და მგრძნობელობით უხვად მორთონ და დაასაჩუქრონ. ამიტომაც არის, რომ ბუნება სავსეა ენერგიით, სავსეა სიცოცხლის სიყვარულით. ბუნების ყოველივე ნაწილი ეტრფის სიხარულსა და სიცოცხლეს და იბრძვის ბედნიერებისა და კეთილყოფისათვის. მისი „მორცხვი იაც“ კი წელში გაიმართება და ჩუმს, წყნარსა, მაგრამ ძლიერ პროტესტს გამოსთქვამს ქედრის ფოთოლს, რომელიც გულზე დაეფარება და გაზაფხულის მზის სხივს აღარ მიუშვებს მასთან. იმ თავგასული ფოთოლი თავიდან მოიშორა და ასე უთხრა:

— „მართალია, მეგობარო, გაჩენს ჩემთვის შესაფერი მორცხვობა მოუცია, ხოლო არა იმისათვის, რომ ამ მშვენიერ თვისებას შენს ჩრდილქვეშ საფლავი ამოუთხარო“.

აქ მთელი ნატურ-ფილოსოფიაა გამოხატული ბ. ჯორჯიკიას თავისებურის კილოთი, აქაც თავისებური ჭიდილია, ბრძოლა ცხოვრებისათვის, მაგრამ არსად სისხლი არ იღვრება და არც კბილთა ღრჭენაა, იქ მზე თავის სხივების დანიშნულებას ხედავს მაში, რომ ვარდ-ყვავილთა „სიცოცხლე შთაბეროს“, „გაფურჩქნოს, გაიღვიძოს“ აქ ია ფოთოლს თავიდან მოიშორებს მზის სხივთა მისაღებლად, ისე რომ ფოთოლსაც ამით არა აკლდება რა, მხოლოდ შეიძლება უნებური მისი სურვილი ბოროტებისა — იის დასამარებისა არ უსრულდება. და რა კარგია, გულის დამამშვიდებელი, სიხარულის მომნიჭებელია მაგვარი სურათები; როგორღაც გულზე მოგეშვება კაცს, კურთხევით მოიხსენებ ავტორის სახელს და კიდევ ერთი ორჯერ გადაიკითხავ, ათასგვარ შედარებას გააკეთებ შენს თავში, ათასგვარ ვარიანტს შეჰქმნი ამ სურათისას და დაკმაყოფილებული, ესთეტიურად დამტკბარი ემშვიდობები, ნახვამდის, ეუბნები მწერალს.

ჩვენის ავტორის თვალში სიკვდილიც კი პოულობს თუ არ თავის გასამართლებელ საბუთს, ყოველ შემთხვევაში ერთგვარ მომხიბვლელ ზღაპარს, რომელიც მის გაჩენას შეეხება. თავდაპირველად, „სიკვდილის ანგელოზი“ [1]) გულკეთილი, გულლმობიერი და გულჩვილი არსება ბრძანდებოდა. მან რამდენჯერმე არ აღასრულა „დიდებული მსაჯულის“ ბრძანება და კაცთა უბანში სიკვდილი არ დათესა: და ასე მოახსენა თავისს მეუფეს „როდესაც მოხუცს მოსაკლავად ვესტუმრები და წარმოვიდგენ, რომ მასში დიდ ცოდნასა და გამოცდილებასა ვკლავ, ვნადგურებ, მაშინ მთელი ჩემი **გონება** საოცრად დრტვინავს, იტანჯება. როდესაც ახალგაზდა ადამიანს ჩემს ხელში სული ეხუთება, წუთი სოფელს ესალმება და ვგრძნობ, რამდენი გაუფურჩქნელი ნიჭი თან მიაქვს, მაშინ ჩემი უბედური **გული** საბუდრიდან გადმოხტომას აპირებს... როდესაც ავადმყოფობისაგან დატანჯული სნეული ჩემ ნახვას ისევ ტკივილებისაგან წვალებას არჩევს და მე საშინლად ჩამცქერის, მაშინ მთელი ჩემი **სხეული** *) ენით გამოუთქმელ სიმწვავეს განიცდის“... და მაშინ მეუფემ მას წაართვა, გონება, წაართვა გული და სხეული. მისგან მარტო საზარელი ჩონჩხი და დარჩა, „რომელიც არც არაფერს ფიქრობს, არც არაფერს გრძნობს და თვის ხელობას საოცარის გულგრილობით ასრულებს.“ აი უტყუარი სურათი სიკვდილისა, უგულო, უგნური და უგრძნობელი სასტიკი იარაღი, რაღაც გამოუცნობელის მიუწდომელის ძალისა. მაგრამ იგი ერთ დროს კეთილობითა და სათნოებით აღსავსე რამ იყო და მხოლოდ მაშინ, როცა მას გასძარცვეს ყოველივე რაც კი შეადგენს სამკაულს არსებისას, ყოფნისას, მაშინ შეიქმნა იგი რაღაც განყენებული, რომელიც კაცის გულში არც არავითარ გრძნობას უნდა იწვევდეს, არც მადლობისას და არც საყვედურისას.

—

ყოველივე ამასთან ბ. ჯორჯიკიას ფრიად სერიოზული შეხედულება აქვს ხელოვნების დანიშნულების შესახებ, მისი მოვალეობისა და მისი ფსიხიკის შესახებ დიდად ღრმა და დინჯი აზრი აქვს. ხელოვნება მისთვის „თავისუფალი შემოქმედებაა“ *) რელიგიური აქტია, ხელოვანი ქურუმია დამოუკიდებელი და თავისუფალი, მას არავისი ეშინიან, იგი არავის ემორჩილება, იგი თავის თავის ბატონია, მისი მუზა მარტო შინაგან ღმერთების ხმას უგდებს ყურს. ხელოვანი თახაც ნაზი აგებულების, მეტად ფაქიზი სულის პატრონია. იგი ადამიანთა კვნესა-ვაებას დიდის ყურადღებით ეპყრობა, ადამიანის უბედურება საუკუნო დაღს ასვამს მის არსებითად ბედნიერებისა და სიხარულის მოციქულ ხელოვნებას.

როცა მხატვარს ძლევამოსილი, ომში გამოჭედილი, სასტიკი მეფე შეუკვეთს მისი სურათის ტილოზედ დახატავს იგი ცივ უარს ეტყვის: ვერ დაგხატავ „ხელოვნება ვერ იცრუებსო... სიცრუე მისთვის საშუალებაა, მიზანი კი სინამდვილე. თქვენი სახე სასტიკია, თქვენი დახატვა არ შეიძლიაო“. ხოლო როცა მეფემ იგი იძულებულ ჰყო ხატვას შესდგომოდა, მან მეფის ნამდვილი გამოხატულობა შეჰქმნა, მთელის ამ სახის სისასტიკითა და სიმძაფრით. მაგრამ იცოდა, რა რომ მძლავრთა ამ ქვეყნისათა სიმართლე არ უყვართ“ ნიჭიერი მხატვარი სურათთან გულგაგმირული ნახეს. უფრო ადვილად შესძლო თავის მოკვლა, ვიდრე ნიჭის ღალატი. ნიჭი რაღაც ფატალური რამ არის, რომლის აბუჩად აგდება კი არ შეიძლება, იგი თავის გზით მიდის და ამ გზას თვით მისი პატრონიც ვერ გადაახვევინებს, არა თუ რომელიმე გარეშე ძალა. სიკვდილი ნიჭისათვის წარმავალი მოვლენაა, ნიჭის გაცუდება კი სამარადისო ლაქა, საუკუნო დაღი, რომელიც ცეცხლით ამოჭრილი იქმნება მის სახელზედ. ამიტომაც სიკვდილი სჯობს მხატვრისათვის. თუ გნებავთ გაიგოთ, რა მომაჯადოებელი ხელოვანია ბ. ჯორჯიკია, რა უბრალო, სრულიად სადა საშუალებით რა ეფექტებს მიაღწევს ხოლმე, რა უბრალოდ რა ღრმა აზრს, რთულ ფსიხოლოგიას გამოხატავს ხოლმე—თუ გინდათ ამის მაგალითი მისი „მერცხალა“ [1]) წაიკითხავთ. ჩვეულებრივი, ყოველდღიური ამბა-

*) იხ. „სახ. გაზ.“ № 976

1) „კოლხიდა“, 1911 წ. № 143.

2) კურსივი ავტორისა.

1) „კოლხიდა“ 1911 წ. № 54.

*) კურსივი ავტორს ეკუთვნის.

*) „კოლხიდა“ 1911 წ. № 37.

1) „კოლხიდა“ 1912 წ. № 66.

# პატარა ფელეტონი

## ოქროს თმა

ბუჯუ.

ვის უნახავს შადრევანის გამჭვირვალე, წმინდა შტოი, ოდეს მზის სხივ[ებს] მოელვარეს განეწონოს იგი ისრი[ვ] და საამოდ, საუცხოოდ მოექარგო[ს] ზედ ქარაგმა ქალწულობის სისპეტა[კი]თ?

ვის უნახავს მწიფე პურის დაკუნწლული თავ-თავთ კონა, როცა ცვარით დანამულსა აფერადებს ცისარტყელა და ხორცისფრად, სასიცოცხლოდ ამკობს, ჰკაზმავს მშვიდ ლხენა?

ვინ დამტკბარა აღდგომის დღე[ს] ელვარე მზის სხივთა ცეკვით, ოდე[ს] ოქროს შლილ მარაოს ეტრფვის[...]

ვია. ორი თავადი შეჯიბრებულ[ი], ორივე უაღრესად დაინტერესებული[ა], მათმა ცხენებმა გაიმარჯვოს. ერთის მსახური ნესტორა მიდის მეორე[ს] მსახურ ყარამანასთან და ქრთამ[ს] შეაძლევს, ოღონდ დოღში შენ[ი] ბატონის „მერცხალა“ ისე წაიყვანე, რომ ჩემი ბატონის „თერგმა“ გაიმარჯვოსო. ყარამანასთვის ეს მეტად ძნელი აღსასრულებელი იყო, არა თუ მაინცა და მაინც იმიტომ, რომ ბატონის ერთგულება აწუხებდის, მაგრამ თავმოყვარეობა, ერთგვარი სპორტის სურვილი თავისებური არტისტის ჟანი არ აძლევს ნებას უღალატოს არა პატრონს, არამედ თვით თავისს ხელობას, მის გაწვრთნილ „მერცხალას“. ხოლო გაჭირვებული ცხოვრება, წუწუნი და პრაქტიკული მოსაზრება ცოლისა, ამ „ტლანქი სინამდვილის“ გამომხატველისა დასძლევს მას და ნესტორაც სამარცხვინო ვაჭრობაზედ დაყაბულდება.

და აი მარულაა. ყარამანი „მერცხალას“ მიაქანებს, ნესტორასთვის მიცემული პირობა თავში უტრიალებს.. პირობის აღსრულება უნდა... გაახსენდა ისიც, რომ სათავეს ერთი მოწევა და „მერცხალა“ შეეფერხებოდა, „თერგი“ გაუსწრებდა და... სამას მანეთს მიიღებდა; ცოტად შეამაშა ღვინი, მაგრამ ამ წუთს გულში რაღაც ახალი გრძნობ დაებადა... გრძნობა საოცარი, საიდუმლო, გრძნობი, რომელიც მას ძალას ატანდა გადაელახა პირობა, სიღარიბე და თვით ცოლშვილის სიყვარული... ამ გრძნობამ იგი დაიმორჩილა, დაიმონავა, როგორც მიმინო იმონავებს ღონე-მიხდილ მწყერს... და სწორედ იმ ადგილს, სადა სადავე უნდა შეეშალა, სადაც „მერცხალა“ უნდა დაეჩაგრა, საყვარელ მერანს სადავე უფრო მიანება, გადიხარა წინ და ყურში ჩასძახა: „გასწი, ჩემო „მერცხალა“. ისარივით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰკოცნის მიწის გული და მხიბლავის გულდიობით ზეიმს ერთვის არს-სულდგმული?

ვის უხილავს აბრეშუმი, ნაძახი და დახვეწილი, გვირგვინოსან დედოფალის ფიქალს მკერდზე დაფენილი, ვით ელექტრო თვალთა მკრელი, ვით ჩუქურთმა დაგრეხილი?..

მე ვიხილე, მხოლოდ ერთმა, შადრევანის ბროლის რტოი, გარს ეხვია მწიფე პურის ხორცისფერი თაიგული, შვიდი ფერის ცისარტყელა სამკაულად შეჭფენოდა და შვენოდა გვირგვინოსანს მზის მწველ სხივთა დიადემა—საამქვეყნო, საიქაო უმაღლესი ტკბილი კდემა...

მე ვიხილე და ვინატრე:

„ნეტამც ახდეს ბედისწერა და ოქროს თმით, ვით საბელით, ალმკვეცოდეს დღეთა დენა!..“

დ. ხობი. **ა. ჭუმბაძე.**

## მსოფლიო გამოფენა ქ. განში

**(გენტი, ბელგია)**

(ერთის თვალის გადავლებით)

კულტურულ ნაწარმოებთა გამოფენა ერთგვარი ბარომეტრია, დამახასიათებელი ამა თუ იმ ერის ზრდა-განვითარებისა. პატარა, მაგრამ კულტურულად საოცრად განვითარებული ბელგია *) არა თუ კერძო, მსოფლიო გამოფენასაც ხშირად მართავს ხოლმე, სამი წელიწადი არაა მას აქეთ, რაც ბრიუსელში იყო მსოფლიო გამოფენა და აი წლეულსაც, აპრილის დამლევს გაიხსნა გამოფენა ქ. განში.

როგორც იყო, მოვიცალე ერთ კვირა დღეს და დილით ადრე გავსწიე ბრიუსელის, ევრედ წოდებულ, ჩრდილოეთის სადგურისაკენ. თუმცა აუარებელი ხალხი იყო წამსვლელი, მაგრამ იმდენი მატარებელიც არის დანიშნული, რომ ჩვენში ჩვეულ სივიწროვეს მატარებელში, აქ ადგილი არა ჰქონდა.

დაიძრა მატარებელი და ერთი საათის განმავლობაში უკვე განში ვიყავით. გამოფენა ახლოა სახალხო მატარებლების სადგურთან და მეც დაუყოვნებლივ იქითკენ გავეშურე. შევედი წოდებულ entrée principale-ში (მთავარი შესასვლელი). უზარმაზარი, მაღალი და ფართო გუმბათიანი შენობის წინ გაჭიმულია ფართო, ნაირ-ნაირი ყვავილებით შემკული ეზო. შენობის წინ ამართულია ძროხების, ხარების და სხვა შინაურ ცხოველების დიდროვანი ქანდაკებანი. შიგნით ეზოს განი ექნება ოცდა-ათი საჟენი, ხოლო სიგრძე ორასზე მეტი შიგ სამ ალაგას გამართულია სხვა და სხვა ქანდაკებით მორთული დიდი აუზები და თვალ-ამჭრელებელი ყვავილებით შემოხავერდებული. ერთ-ერთ ჰაუზთან, მაგალითად, აღმართულია ყალხზე შემდგარი რაში. ზურგზე ოთხი ტიტველი ვაჟკაცი აზის; ერთს მშვილდ-ისარი მოუჭიმავს, მეორეს ნაჯახი მოუმარჯვნია, მესამეს შურდული, ხოლო მეოთხეს ლახვარი. ცხენ ქვეშ ორი დაჭრილი კაცი გდია. აქ ეზოს ირგვლივ აღმართულია ერთი წყება საგამოფენო უზარმაზარი სახლებისა. თავში მარჯვნივ და მარცხნივ ბელგიის განყოფილებაა, დაახლოვებით უჭირავს 12 ქცევა ადგილი. ბელგიისას მარცხნივ მისდევს ინგლისი, უჭირავს 8 ქცევამდე ადგილი, ხოლო მარჯვნივ ოცამდე ქცევა ადგილზე გაჭიმულია საფრანგეთი. ამ ეზოს ბოლოში განდაგან სამხატვრო განყოფილებაა. ესეც რვა ქცევამდეა. მის გვერდით 200 ოთხ-კუთხ საჟენზე სპარსეთია მოთავსებული. სპარსეთის გვერდით დეკორატიული მხატვრობაა, ორი სპარსეთის ტოლა იქნება, შემდეგ იტალია, ოთხი სპარსეთის ტოლა. შემდეგ გადავდივართ მეორე უშველებელ ეზოში მარჯვნივ. აქ არის მოთავსებული: ჰოლანდია, ბელგიელების მანქანათა განყოფილება, საელექტრონო სასახლე, გერმანია, საერთაშორისო განყოფილება, კანადა, კონგო-ბელგიელებისა, რკინის გზის მოწყობილებათა სასახლე და სხვა და სხვა წვრილმანობა. საერთოდ გამოფენას ექნება ორი ვერსი განი და ერთიც სიგრძე. ეს თითქმის მთელი ქალაქია და მისი გულდასმით დათვალიერებას ერთი თვეც არ ეყოფა. მე კი დრო ძლიერ ცოტა მქონდა, ამიტომ როგორც სათაურში მოვიხსენიე, ჩემ მიერ გამოფენის დათვალიერება ერთის თვალის გადავლებითა.

შევედი პირველად ბელგიის განყოფილებაში მარჯვნივ, კარებში ლამაზ ფორმით გამოწყობილი კაცი იდგა. თუმცა ზრდილობიანად, მაგრამ ყველას სიგარა-პაპიროსებს იქვე მოზადებულ, წყლით სავსე ფაიფურის ჭურჭელში აგდებინებდა. პირველად ავტომობილების, კარეტა-ეტლებისა და ველოსიპედების განყოფილებაში მოვხვდი. რა და რა ზომის და ჯურის ავტომობილები და კარეტები, ან ველოსიპედები გინდა, რომ აქარ იყოს გამოფენილი. ამას მოჰყვა ხასტამბო განყოფილება. სხვა და სხვა ზომის კლიშეები, ხელოვნურად ამოჭრილი ხეზე, თითბერზე, თუნუქზე. საბეჭდავი მანქანები სხვა და სხვა ზომისა და კონსტრუქციისა. მექანიკური ასოთ-ასაწყობი და ზედვე მობმული საბეჭდავი მანქანა, ადგილი სულ ცოტა უკავია. ამას მისდევს სხვა და სხვა ოპტიური აპარატები. შემდეგ აუარებელი რელიეფები ქუჩებისა, ფაბრიკებისა, სახელოსნოებისა; ქანდაკებანი ხელოსნებისა, იქვე აუარებელი გაუმჯობესებული სახელოსნო იარაღები.

ამათ მოჰყვა სოციალურ-ეკონომიური განყოფილება. სხვათა შორის თვალი მოვკარ: 1903 წელს ბელგიელებს გაუყიდიათ ქვანახშირი 4.706,033 ფრანკისა. 1912 წ. კი 6.794.876 ფ-სა. სოციალისტების კოოპერატიულ ამხანაგობას უვაჭრნია 1904 წელს 26 მილიონი ფრანკისა, 1911 წელს კი 47 მილიონისა. 1904 წელს კოოპერაციას მოუგია 3.140.000 ფრანკი; 1911 წელს კი 5.124.000 ფრანკი. მასვე ჰქონია უძრავი ქონება 1904 წელს 10.300,000 ფრანკისა. 1911 წელს კი 19.135.000 ფრანკისა! მათვე ჰქონიათ შენახული კაპიტალი 1904 წელს 1.406,000 ფრანკი; ხოლო 1911 წელს 1.900,000 ფრანკი. ამ ციფრებს მგონი განმარტება არა სჭირია.

გამოფენილია ძველებური გეოგრაფიული რუკები, ერთიც ძველი ჩინური თუ იაპონური რუკა ქვეყნიერობისა. მოხაზულობა თუმცა ორიგინალურია და სიცილის გამომწვევია, მაგრამ გვარიან კარგადაა მიმზგავსებული. აქვეა ბევრი ახალი რუკა და „გიპსომეტრიული“ რელიეფები. ეს უკანასკნელი ძლიერ საინტერესოა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მათი ტეხნიკურად გაკეთება გაადვილდება, მაშასადამე, გაიაფდება, მთელ ქვეყანას მოეფინება და დაბალი სასწავლებლებიდან მაინც განდევნის ეხლანდელ ბავშის ნორჩი გონებრივის სრულებით გაუგებარ გეოგრაფიულ რუკებს.

გამოფენილია საექიმო, საფთიაქო ჭრილობათა შესახვევი ნივთები, ხელოვნური ხელები, ფეხები და სხვ. მრავალგვარი ლამაზად და მტკიცედ გაკეთებული. ვნახე საშენი მასალების განყოფილება; აგურები, კრამიტები, ფილაქნები, იქვე საძირკველჩაყრილი, სანახევროდ აშენებული სახლი. შევიხედე ბელგიის საგარეო საქმეთა სამინისტროში. თვალი გადავავლე ბელგია-საფრანგეთის ვაჭრობას. 1865 წელს გაუტანიათ ბელგიიდან საფრანგეთში 300 მილიონი ფრანკის საქონელი, ხოლო საფრანგეთიდან შემოუტანიათ 258 მილიონისა. 1912 წელს კი ბელგიიდან გაუტანიათ 520 მილიონისა და შემოუტანიათ 1130 მილიონისა. გამოფენილია სამხატვრო სკოლა ქ. განში. მოსწავლეთა მიერ გაკეთებული ქანდაკებანი, დახატული სურათები, ხელოვნურად გამოჩუქურთმებული ნივთები ხისაგან, მარმარილოსაგან, სხვა და სხვა ლითონისაგან.

ამას მოსდევს დგამების განყოფილება. უთვალავი ოთახები სხვადასხვა გემოვნებაზე მოწყობილი, სადა გინდა, თუ ჩუქურთმიანი, გალაქული თუ მოვარაყებული. გასათბობი და გასანათებელი მოწყობილება გაზით, ქ ა-ნ ხშირით, თუ ელექტრონით. შემდეგ ტკბილეულობა, ამას ხომ ბოლო არ უჩანს! ქადების საცხობი. აქვე ხალხის თვალ-წინ ზილენ, აქვე აცხობენ, ჰყიდიან და სჭამენ. სისუფთავე-სისპეტაკე აუწერელი, გემო საუცხოო და შედარებით იაფი. წარმოდგენილია შოკოლადის მთელი ფაბრიკა. გაცხელებული მუშაობა. მანქანების ჭახა-ჭუხისაგან ყურთა სმენა აღარ არის. აქვე ამზადებენ და აქვე ჰყიდიან. რა თქმა უნდა, აუარებელ გამოფენილ ნივთების მეათასედიც ვერ დავათვალიერე და გავედი ეზოს გაღმა ბელგიისავე მეორე განყოფილებაში.

აქ პირველად მდიდართა განყოფილებაში მოვყევი. რა მოვარაყებული დგამები. ან რანაირად მორთული ოთახები! აქვე უნდა შევნიშნო, რომ როგორც ხელოვნური ნაწარმოები ესენი, შეიძლება, კარგიც იყოს, მაგრამ ცხოვრებაში სახმარად კი მეტის-მეტია. ჩემ თავად საშუალებაც რომ მქონდეს, თავის დღეში ჩემ თავს ნებას არ მივცემდი, რომ ასეთ მორთულ სახლში მეცხოვრა. ამათ მოჰყვა ძვირფასი თვლები. გაკუთხული და გაუკუთხავი ალმასები, მათი გასაკუთხი იარაღები. აქვე ჰკუთხავენ. მარგალიტები სხვადასხვა სიდიდისა. მარგალიტები ლოკოკინაში, ისე როგორც ამოუტანიათ ზღვის ძირიდან. გამოფენილია უთვალავი ვერცხლეულობა, წვრილმანი ნივთები, შესაკრავები, ყელსაბამები სამაჯურები და სხვა „პიჭუ პაჭუ“. დასევია ხალხი და ჰყიდულობს.

მომეწონა ალიუმინისაგან გაკეთებული ჭურჭლები: ქვაბები, ჭიქები, ტაფები, საყავეები. ეს ლითონი მომავალში, ალბად, დიდ ადგილს დაიჭერს ცხოვრებაში. იგი არ ჟანგდება, ვერცხლივით თეთრია, ძლიერ მაგარია და ორჯერ უფრო მსუბუქი ვიდრე სპილენძი. ალიუმინი აღმოაჩინეს 1854 წ. პირველად ღირდა კილო (2 გირვ.+) 3000 ფრ. 1863 წ. უკვე 140 ფრანკამდე ჩამოვიდა; 1898 წელს კი 2 ფრ. 75 სანტ. ფასობდა.

ამას მოჰყვა სახელი და დიდება ბელგიისა: სხვადასხვა ქსოვილი, რა ძვირფასი სახეები, რა სიკოხტავე-სინაზე და მასთან სიმტკიცე და სიმაგრე საქონლისა, რა ბევრი და რა იაფი. მე, მართალი გითხრათ, ამ „კრუჟევებისაც“ არა მრწამს რა. აქ, ბრიუსელშიაც, ყოველ ფეხის გადადგმაზე თვალ წინ მეჩხირება და საჩქაროდ გზა ავუხვიე. აი შეკერილი ტანისამოსები. რა გინდა სულო და გულო! გამოფენილია დაუსრულებელი გროვა ხელოვნურად გაკეთებული, ჩაცმული მამაკაცებისა და დედაკაცებისა. ტანისამოსის სიიაფე ბელგიაში ხომ საარაკოა.

წავაწყდი საეკლესიო განყოფილებასაც. თუმცა დასავლეთმა ევროპამ კარგახანია სინიდისი განითავისუფლა და ვატიკანის უცოდველობა უარჰყო, მაგრამ კათოლიკე სამღვდელოება ჯერ კიდევ დიდ ძალას წარმოადგენს აქ, ბელგიაში, ასე ვსთქვათ, ბატონობს კიდეც. გამომოფენაშიც თავი არ შეურცხვენიათ, თუ შევხედავთ, რა თქმა უნდა, საქმეს ხელოვნურ—ესტეტიური მხრივ. გამოფენილია სამღვდელო ძვირფასი შესამოსლები, სხვა და სხვა საეკლესიო და სამონასტრო ნივთები. დედათა მონასტერის (აქ მონასტრები უთვალავია) ნაწარმოები ხელ-საქმეები. ამ განყოფილებაში მონაზონები ბატონობენ. თავზე გახამებული, თოვლივით თეთრი, ფართო ფრთებიანი ქუდები ხურავთ, შავი კაბები აცვიათ და წელზე მსხვილი მძივებიანი კრიალოსანი არტყიათ, კრძალვით და მოწიწებით დადიან და გამოფენილ ნივთებს უთვალთვალებენ. კრიალოსანი ძირს ფეხებამდე სცემს და ბოლოს მობმული ლითონისაგან ჩამოსხმული ჯვარცმა ყოველ ფეხის გადადგმაზე ხან წაღმა შემოტრიალდება და ხან უკუღმა.

აქვე თვალი მოვკარ ერთ უშველებელ, ტყავზე დაწერილ წიგნს. წიგნი ძვირფას ყდაშია ჩასმული და საგანგებოდ მისთვის გაკეთებულ ხელოვნურად ჩაჩუქურთმებულ ანალოღიაზე დასვენებული. გვერდზე ვერცხლის ფიცარზე აწერია: „დაწერილია ლათინურად 1608 ქ. ნორიაში (იტალია)“. გამახსენდა ჩვენი მიქელ მოდრეკილი ამ წიგნზე შვიდასი წლით ადრე დაწერილი, ან ურბნისის ოთხ-თავი ამ წიგნზე ათასი წლით ადრე დაწერილი და ერთიც ამოვიოხრე.

გავედი საათების განყოფილებაში. ვერცხლის გინდა თუ ოქროსი, კედლის თუ ჯიბის, დიდი თუ პატარა; ფასი ძლიერ იაფი.

თვალი მოვკარ ფართლეულობას. ამან დამაინტერესა და ცოტა ხნით შევჩერდი. ჯერ წარმოდგენილია პრიმიტიული ქსოვა. ხელოვნურად გაკეთებულია ახალგაზრდა ქალი, ფეხებზე ხის ქალამნები (საბო) აცვია, თითის ტარზე ძაფს ართავს, პირზე ღიმი უკრის. იქვე პრიმიტიული საქსოვი. შემდეგ როგორ თან და თან განვითარდა ეს ხელოვნება. წარმოდგენილია ტიკინებით და ცოცხალი მხატვრობით, თუ როგორ მოჰყავთ ბამბა აფრიკაში, როგორ გამოაქვთ გემებით ბელგიაში, როგორ ართავენ, როგორ ქსოვენ და გააქვთ გასაყიდად. ამას მისდევს მთელი მთა დამზადებული ფართლეულობისა.

ბევრი რამ იყო საინტერესო კიდევ, მაგრამ დრო ნებას არ მაძლევდა და ინგლისის განყოფილებისაკენ გავიჩქარე.

**უიარაღო.**

(შემდეგი იქნება).

*) აზრადა მაქვს შემდეგ ვრცლად გავაცნო ქართველ საზოგადოებას ბელგია და ბელგიელები.

# რუსეთი

**შორაპნის სამხედრო საკრებულო სენატის წინაშე.**

„რუსსკია ვედომოსტის“ სიტყვით, შორაპნის სამხედრო საკრებულოს შესახებ სენატში ფრიად საყურადღებო საქმე აღიძრა. მას ბრალდება, რომ 1904 და 1905 წლებში უკანონოდ ანთავისუფლებდა ახალგაზდებს სამხედრო ბეგრის მოხდისაგან. სამხედრო საკრებულოს სასამართლოს წინაშე პასუხისმგებლობა ელის. სენატმა განმარტება მოსთხოვა. საკრებულომ ეს გარემოება სენატის წინაშე ასე განმარტა: ის დრო, როდესაც შესაძლებელი შეცდომები მომხდარა, რევოლიუციონური იყო, მთავრობა ამიერ კავკასიაში არაფერს არ აკეთებდა, ყველაფერი რევოლიუციონერების ხელში იყოვო. დასასრულ სამხედრო საკრებულო სცდილობს იმის დამტკიცებას, რომ აღმოჩენილი შეცდომები ბუნებრივია და თავის მხრით ძლიერ უკვირს, რომ ასე ცოტა შეცდომები ყოფილა. ამ განმარტებას სენატის პირველ დეპარტამენტის უახლოვეს კრებაზე მოისმენენ.

# მოწერილი ამბავი

**სოფ. ჭყონაგვარა.** (ოზურგეთის მაზრა). „გაჭირვებულ კაცს ქვა აღმართში მოეწევაო“ ამბობს ქართული ანდაზა და ეს ანდაზა სწორედ ზედგამოჭრილია სოფ. ჭყონაგვრის მცხოვრებთა დღევანდელ უმწეო მდგომარეობაზე. ისედაც გამძვალტყავებული, ათას გვარ გადასახადებით შევიწროვებული ხალხი, ხანგრძლივისა და აუტანელი გვალვების გამო დიდს გაჭირვებას განიცდის.

ყანები, ბოსტნები და საძოვარი ადგილები საოცრად გადამხმარა; ასე რომ თუ წინა წლებში აქაური მუშა წლის საზრდოზე მეტს მოსავალს იწევდა, წელს ის უიმედოთ, გულ-ხელ დაკრეფილი შეჰყურებს თავის განადგურებულს მოსავალს. მიუხედავად ასეთ უნუგეშო მდგომარეობისა, სწავლა-განათლებისადმი სურვილი გაორკეცებულია.

ამ სამი წლის წინად სოფ. ჭყონაგვარის მცხოვრებლ[illegible] თ[illegible]ვიანთ სოფელში სამინისტ[illegible] ერთკლასიანი სკოლის დაარსება ი[illegible]ოვეს. რაც სისრულეში მოუყვან[illegible] [illegible]ოსწავლო მთავრობამ. ახლად გა[illegible]ნილ სასწავლებლისთვის საჭირო [illegible]იქნა საკუთარი შენობის შეძენა. [illegible] საქმის გამო სოფლის ყრილო[illegible] ამორჩეულ იქმნა სამი კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც დაევალა თანახმად ინსპექტორისგან წარმოდგენილ გეგმისა შესაფერ სასკოლო შენობის გამონახვა და შესყიდვა. კომისიაც შეუდგა დავალებულის შესრულებას, გამონახა შესაფერი ხის შენობა და კიდეც შეისყიდა, მაგრამ სამწუხაროდ შენობის სყიდვაში მოსტყუვდნენ, ვინაიდგან არსებულმა სკოლის შენობის სისაღემ სოფლის არ გაუმართლა იმედები. შენობას სანახევროდ უვარგისი მასალა აღმოაჩნდა ასე რომ შენობის ყიდვა დაუჯდათ ხუთასი მანეთი, ხოლო ახალი მასალის შესაძენად და სხვა ხარჯებისთვის დასჭირდათ დაახლოვებით შვიდას მანეთამდე. სკოლის შენობა დღესაც დაუმთავრებელია, რადგან საჭირო ფულის შეკრება ვერ მოუხერხებია გულგატეხილ ხალხს.

გაღარიბებულმა სოფელმა, ამას წინად, თხოვნით მიმართა სახალხო სკოლების მე-III რაიონის ინსპექტორს ბ-ნს გასპარიანცს, რათა ნივთიერად დახმარება აღმოეჩინა, ხელ-მოკლე სოფლისთვის, სკოლის შენობის დასამთავრებლად. ინსპექტორი 100 მანეთს შეჰპირდა. ამ მეტის მეტად მცირე დახმარებითაც სოფელს ჯერ არ უსარგებლია ამ გვარად იქნება შეფერხებული, სანამ ამ, საქმის სათავეში მდგომნი მეტს ენერგიას არ გამოიჩენენ.

**სტ. ნიკოშვილი.**

**აბჟუა** (კოდორის ნაწილი). 9 ნოემბრის კანონი, რომელმაც საზოგადო მიწათ-მფლობელობა დაარღვია რუსეთში, ჩვენც, აფხაზეთაც, შეგვეხო აქაც დაირღვა „ობშჩინა“, თვითოეულს ეძლევა თავისი ნაჭერი საკუთრებად. გუდაუთის ნაწილში თითქმის უკვე გათავებულია დამიჯვნა, ხოლო აბჟუაში ეხლა გაცხარებული მუშაობა. უკვე ცნობაში მოყვანილია თუ თვითოეულს „ობშჩინნიკს“ რამდენი დღიური მიწა აქვს მისაკუთრებული. თან უნდა აღინიშნოს, რომ იმ „ობშჩინაში“, სადაც სამყოფი მიწაა თვითოეულს მონაწილეს ესაკუთრების, რაც მას დღეს უჭირავს, თუნდა ნორმაზედაც მეტი იყოს. არიან ისეთი გლეხები, რომელთაც მიეზომათ 20—25 დესეტინა მიწა, რადგანაც დამუშავებული ჰქონდათ. ნორმა კი ასეთია. იმ ოჯახს, სადაც მარტო ერთი ადამიანია, ეძლევა 3 დესეტინა, — ორ-სამიანს—5 დესეტინა, 4-5—ექვსი დესეტინა, უმაღლესი ნორმაა 7 დესეტინა. თან აქ ერთი გარემოებაა აღსანიშნავი: მეფის მოადგილის რჩევის დადგენილების თანახმად აგრეთვე მესაკუთრეებად ცნობილი იქმნენ ყვე[illegible] ის გარეშე პირნი, რომელნი 190[illegible] [illegible]ის პირველ იანვრამდის და[illegible]ლ[illegible]ბ[illegible]ლა ამა თუ იმ საზოგადოებაში მხოლოდ უფლებათა იმ გვარ [illegible]ზღუდვით, რომ ამ კატეგორის პი[illegible] მხოლოდ ის ნაჭერი ესაკუთრებ[illegible], რომელიც დღეს უჭირავთ მათ. [illegible] ცოტაა, დამატების უფლება არა აქვთ. არც საზოგადო ტყე-საძოვრით, ამ რიგად კიდევ ორიოდე წელიწადი, და „ობშჩინის“ ხსენებაც არ იქნება აფხაზეთში ეს კი იმის ნიშანია, რომ აქამდის ეთნოგრაფიულად წმინდად შენახული ნაწილები აფხაზეთისა—ათიოდე წლის განმავლობაში ჰქრებიან...

უკანასკნელ წლებში აფხაზეთში საზოგადოდ და კერძოთ აბჟუაში დიდი ყურადღება აქვს მიქცეული სასო-

---

მოწყდა მერცხალო“... წუთი... ორი წუთი... და გამარჯვებულ „მერცხალს“ და ყარამანს ხალხი ტაშის ცემით, ვაშას ძახილით და მუსიკის გუგუნით მიეგებება“.

ყარამანა ხომ ხელოვანია, არტისტია. არტისტიული გრძნობა მისი, ნაპერწკალი ღვთაებრივი შემოქმედებისა ამ პატარა კაცშიაც კი სასწაულს ახდენს. იგი არ ემორჩილება არავითარ გარეშე მოსაზრებას, როგორც დიდებული მხატვარი ყოვლად შემძლე დესპოტის ბრძანებასა და განკარგულებას. კურთხეულია სწორედ ის ხელოვანი, რომელიც თვით მიყრუებულ, მიბნელებულ კუნჭულშიაც კი მიაგნებს იმ ღვთაებრივ ცეცხლს, რომელიც თვით მის ბუნებაში ანთია. და აი სწორედ ყარამანას ამ ერთგვარი შემოქმედის სულისკვეთება სწორედ დიდის დაკვირვებით არის გადმოცემული. ეს ერთგვარი ჰიმნია ხელოვნებისა, არტისტიულის ნიჭისა. ნატამალი ამ ნიჭისა თვით უმცირესს გმირად ხდის და ზე-კაცად, რომელიც ყოველივე გარემოებას დასთრგუნის და დასძლევს თავისის შინაგანის ძალის შემწეობით. „ხელოვნება“ არა თუ ესდენ ძლიერი ძალაა, რომელიც ადამიანს ღმერთს უახლოვებს და ძლევამოსილად ხდის, იგი ადამიანთა დამაკავშირებელი, დამაახლოებელი ძალაც არის. აი ფრანგი და მისი მსახური ზანგი მათ შორის „ხიდი გატეხილი“ ამოუვსებელი უფსკრულია გათხრილი, სოციალური, რასიული და სხვა ათასგვარი მდგომარეობა მათ ერთმანერთს დიდის მანძილით აშორებს. ამიტომ, როცა ფრანგი დაინახავს, რომ მისი მონა ზანგი მასსავით სტკბება ესთეტიურის მშვენიერებით დიდის ხელოვანის მხატვრობით, ფრანგი იგრძნობს მასთან სულიერს თვისტომობას, განუწყვეტელ კავშირს ადამიანისას: „ამ წუთსო—ამბობს იგი—თვალ-წინ წარმომიდგა არა ზანგი—ვინმე, არამედ ადამიანი, რომელიც მშვენიერობით სტკბებოდა და ამიტომ მას პირველად ჩემ სიცოცხლეში ხელი გავუწოდე და არა ისე, როგორც უფროსმა უმცროსს, არამედ როგორც ამხანაგმა მეგობარს და თანასწორს“.[1])

ხელოვანი მარტო მამაცი, თავგანწირული მონა კი არაა ხელოვნებისა, იგი ადამიანია, რომელსაც ადამიანის ტკივილი სტკივა და სიხარული ახარებს. იგი უდარდელი, გულ-ქვა მანქანა არ გახლავს და არც ცივი სარკე, რომელიც მარტო ფოტოგრაფიულად გაჩვენებთ ცხოვრების სურათს. მისი სული და გული მისი ნიჭი ერთგვარი უნაზესი აპარატია, რომელიც ზე-აღიბეჭდს ყოველივე სევდითა და ვარამით მოცულ მოვლენას ადამიანთა ცხოვრებისას. აი მხატვარი,[2]) რომელიც ტბის (ბუნების) „წარმტაც მშვენიერებას, სპეტაკ უმანკოებას გამოსახავდა... ბუნების სილამაზეს შეთანხმებული ფერადით ტილოზე ატყვევებდა“. ამ დროს ტბის მეორე ნაპირს ქალწული გამოჩნდება, რომელიც ტბაში ჩაეშვება. მხატვარის ფაქიზი გრძნობა მთელის სიღრმით იგრძნობს უბედურის ადამიანის ვაებასა... და „ამის შემდეგ მხატვარს ნელი მწუხარება გადაეფარა,—ტილოზე ტბის სიკეკლუცის გადაღებას ბევრი ეცადა, მაგრამ ვერ შესძლო...“ უეჭველად ასეთს მწერალს ხელოვნება არც სათამაშოდა და არც თავის შესაქცევ რამედ მიაჩნია—იგი ღვთაებრივი ძალაა, რომელიც ადამიანთა სულის კვეთების შემგნები, თანამგრძნობი და მოამაგე უნდა იყოს, ადამიანის დარდისა და ვარამის, ნუგეში, მხიარულებისა და ნეტარების წყარო უნდა იყოს.

ხოლო ხელოვნება იდუმალი ძალაცაა, ვით ღმერთი, ვით ბუნება, ვით თვით ცხოვრება იგი მიუწდომელი გამოუცნობელი რამ არის. მას ყველა ეტანება, რადგან საიდუმლოება კაცთათვის მიმზიდველია, მისი გამოცნობა ყოველი გონიერების იდეალია, მაგრამ ყველას იგი თავისებურადა აქვს წარმოდგენილი, ყველას ერთგვარად მისებურად დასურათებული. შესაძლოა ყველა ეს წარმოდგენა ერთად შეკრებილი შეადგენდეს გამოცნობას საიდუმლოებისას, მაგრამ მათ შეერთებულ ჯამში ყოველთვის დარჩება უცნობი იქსი (X) რომელიც ათასგვარ შრომას, ნიჭსა და მეცადინეობას შემოიდნობს საიდუმლო ფარდის ასახდელად... და სწორედ მომხიბვლელობა ხელოვნებისა, როგორც ცხოვრებისა ის გაუშუქებელი, აჩრდილ მიყენებული კუნჭული იქმნება, რომელიც ყოველთვის დარჩება, რაც გინდ მცირე იყოს იგი.

„მაღალი ნიჭის დაჯილდოებულს მოქანდაკეს მარმარილოსაგან ისეთი ქანდაკება გამოეკვეთა, რომელსაც სახის საიდუმლო გამომეტყველება ჰქონდა...

„ეგ ქანდაკება მას დიდ მოედანზე დაედგა...

„ერთი ფიქრობდა,—ამ ქანდაკებას სახე ნეტარების სხივით უცისკროვნდებაო, ხოლო მეორე ამტკიცებდა რომ მას მწუხარების აჩრდილი მფლობელობსო დრო გადიოდა...

ქანდაკების გარშემო ხალხი სულ ირეოდა, ჩნდებოდა, ქრებოდა, იცვლებოდა.

„მუდმივი იყო მხოლოდ ქანდაკების სახის საიდუმლო გამომეტყველება“...

ამგვარია ყოველი დიდი შემოქმედება: პრაქსიტელის ჰერმესს სწორედ ეგ საიდუმლო გამომეტყველება ჰქონდა მიუწდომელ, ღვთაებრივ რამედ., ეგრეთვა რაფაელის მხატვრობა, და მიქელ ანჯელოს ქანდაკება, ეგრეთვა შექსპირის ჰამლეტი და ეგრეთვა შოთას „ვეფხვის ტყაოსანი“. ამ დიდებულ ქმნილებებში ყოველივე ცხადია და ნათელია, ვით მზისგან გაკაშკაშებული სამყარო და თანაც იქ რჩება მუდმივი საიდუმლო, რომელიც შეადგენს მათ სამკაულს მათ მარადისობას, მათ დიდებულებას, მათ მსგავსებას და კავშირს მსოფლიოს იდუმალობასთან.

კმარა! კმარა, არა ბაასი ბ. ჯორჯიკიას შესახებ, იმიტომ რომ ამგვარ მხიარულების მომნიჭებელ შემოქმედების შესახებ ბაასი არ შეიძლება მოსაწყენი იყოს. კმარა, ჩვენი ბაასი, იმიტომ, რომ ჩვენა ვგრძნობთ რაც უნდ ბევრი ვილაპარაკოთ ბ. ჯორჯიკიას შესახებ ჩვენ არ მოგვწყინდება, მაგრამ შეიძლება ჩვენმა გაჭიანურებულმა წერილმა მკითხველს თავი მოაბეზროს. ბ. ჯორჯიკიას უკვე საპატიო ადგილი უჭირავს ჩვენს ლიტერატურაში. რა შეხედულებისაც უნდა იყოს კაცი ხელოვნების შესახებ, შეუძლებელია თუ კი მას ესტეტიური გემოვნება დაჩლუნგებული არა აქვს სიამოვნებით არ გადაიკითხოს მისი „მინიატურები“—„მინიატურები“, რომელიც მით უფრო უმშვენიერესი არიან, რაც უფრო პატარანი არიან. შეუძლებელია ამ ხელოვნურმა ნაწყვეტებმა კაცი კარგ გუნებაზე არ დააყენონ, და ღრმა აზრებიც არ აღუძრან, თუ კი ცოტათი მოინდომებ ჩაკვირვებას მოთხრობისას. მდიდარი, მეტად მდიდარი ფანტაზია, გულახდილი, ყმაწვილურის, გიჟურის ოცნებით გატაცებული ბუნება და არსება, მხიარული, ჯან-საღი განწყობილება რომელიც ყოველთვის ფარავს სიღრმეს გრძნობისას—ყველა ეს მეტად დიდი სამკაულია მწერლისათვის და ყველა ეს უფრო შეეფერება ქართულ ნიჭს, რუსთველის გენიოსობაში გამოსახულს. და არ გვინდა ერთი ბეწო ეჭვიც კი გავიტაროთ გულში—რომ ბ. ჯორჯიკია განვითარების გზას აშორდება და უდროო დროს შეჩერდება შუა გზაზედ.

**კიტა აბაშიძე.**

1) „კოლხიდა“ 1911 წ. 206.
2) „დაღუპული უკვდავება“ „კოლხიდა“ 1912 წ. № 50.

ფლო სკოლებს. ეხლა არსად არ შეხვდებით ისეთ საზოგადოებას, სადაც ორკლასიანი თუ არა, ერთი კლასიანი სკოლა არ არსებობდეს. ზოგ საზოგადოებაში კი, მაგალითად არვიბჟაში ორ-ორ კლასიანია. სასიხარული სიმპტომებია გამოფხიზლებისა.. ეხლა აფხაზთ 25 ამ თვეს სახეშში კრება აქვთ გამართული, სადაც უნდა გადაწყდეს—საისტორიო შეშანახის ბედ-იღბალი. აფხაზნი ქ. სოხუმთან შეთანხმებით ცდილობენ სემინარია დაიარსონ. ვნახოთ, რით დაბოლოვდება ეს საქმე.

მგონი რკინის გზასაც მალე მოვესწროთ. ფიცხელი წინასწარი მუშაობაა გაჩაღებული. დღე-დღეზე ინჟინერ-ტეხნიკები სოკოსავით მრავლდება. **ჰამუდ-ბეი.**

# უცხოეთი

**ოსმალეთი და ბულგარეთი.**

ჯერ კიდევ არ დამთავრებულა მოლაპარაკება ამ ორს სახელმწიფოს შორის საზღვრების შესახებ. როგორც სჩანს, ოსმალოები ადრიანოპოლს და კირკილისეს არ დაუთმობენ ბულგარეთს. გაზეთი „ტანინი“ სწერს: „ბულგარელი დელეგატები უნდა დაეთანხმნენ ოსმალეთის წინადადებას; ოსმალეთის მთავრობა ვაჭრობას არ დაიწყებს ადრიანოპოლისა და კირკილისეს გამო, რომელნიც უკვე დაიკავა და რომლების შესახებ ლაპარაკი სულ მეტია. ჩვენ რომ გვინდოდეს, მეტსაც წავიღებდით. ბულგარელებს ნუ ექნებათ ჩვენი გულკეთილობის იმედი და მოიქცნენ [illegible]ონიერების მიხედვით და მა[illegible] სადაო საკითხები სულ მალე [illegible]დაწყდება.

**ჩინეთი.**

იუნშიკაიმ 8 აგვისტოს გამოცემულ ბრძანებით დაითხოვა ცზიანსის სათლქო სეიმი; ამ დღეებში გამოვა განკარგულება სამხრეთ ჩინეთის სხვა სათლქო სეიმების დათხოვნის შესახებ, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ უკანასკნელ რევოლუციაში. ამგვარად იუნშიკაი ემზადება ახალ არჩევნებისათვის.—ზედა პალატამ განიხილა პრეზიდენტის შეტანილი წინადადება, რომ დეპუტატობა ჩამოერთვათ იმათ, ვინც რაიმე მონაწილეობას იღებდა რევოლუციის მოწყობაში. დიდის კამათის შემდეგ, პალატის უმრავლესობამ დაადგინა რამდენისამე წევრის გამორიცხვა. ამავე დროს გომინდანის პარტიამ პეკინის მთავრობის მოთხოვნილებით პარტიიდან დაითხოვა თავისი ლიდერები.

**მონგოლეთი.**

ერთს ინგლისურ გაზეთში გამოქვეყნებულია ახირებული „კონსტიტუცია“ მონგოლეთისა, რომელიც შეუდგენია ურგის მთავრობას რუსის კონსულის დახმარებით. ამ კონსტიტუციის უმთავრესი დებულებანი ასეთია: 1) დიდი მონგოლი (ხუტუხტა) განაგებს მონგოლეთის იმპერიას, როგორც პირდაპირი მემკვიდრე მონგოლთა დინასტიისა. 2) მონგოლს ეკუთვნის განუსაზღვრელი ხელმწიფობა. 3) მონგოლს შეუძლიან შემოიღოს კონსტიტუცია, მოიწვიოს და დაითხოვოს პარლამენტი. 4) მონგოლს შეუძლია გამოაცხადოს სამხედრო წესები, ხოლო ამის შესახებ წინდაწინ უნდა მოელაპარაკოს რუსეთის წარმომადგენელს. 5) მონგოლთა პოლიტიკური თავისუფლება უნდა მოეწყოს თანახმად მონგოლის ბრძანებისა. 6) მონგოლი თავისთვის ჯამაგირს ინიშნავს დამოუკიდებლად. 7) მონგოლეთის საკანონმდებლო დაწესებულებათ არა აქვთ აღმასრულებელი უფლება და პასუხს არ აგებენ ქვეყნის წინაშე. 8) საკანონმდებლო დაწესებულებათა თავმჯდომარეებს და მათ ამხანაგებს ნიშნავს მონგოლი რუს და მონგოლ დეპუტატებისაგან.

**ჩინეთი.**

იუნშიკაიმ ახალი სამინისტროს შედგენა თავის მომხრეს სიუნ-სი-ლონს მიანდო, რომელიც წინად გუბერნატორად იყო. კაბინეტში მხოლოდ მთავრობის პარტიის წევრები შევლენ.

**ჰოლანდია.**

დიდის ჰაპანწყვეტის შემდეგ როგორც არის შესდგა ახალი ლიბერალური სამინისტრო. სამინისტროს შედგენა დააგვიანა იმ გარემოებამ, რომ სოციალისტებმა უარი განაცხადეს მონაწილეობის მიღებაზე. სამინისტრო 16 სექტემბერს წარსდგება პარლამენტის წინაშე და წაიკითხავს თავის გეგმას.

**სიონისტების კრება.**

კრებაში ჩაეწერა 9000 წევრი, აქედან 550 დელეგატია. კრება ვენაშია და გაგრძელდება რვა დღეს. პროგრამის უმთავრესი საკითხებია—პრაქტიკული მუშაობა პალესტინაში. სხვათა შორის უნდა მოილაპარაკონ ებრაელთა უნივერსიტეტის შესახებ პალესტინაში. კრებას არ დაესწრო მაქს ნორდაუ, რომელიც არ თანაუგრძნობს დღევანდელს მიმართულებას: მისის აზრით, სიონიზმი პოლიტიკური მოძრაობაა, სიონისტების პარტიის დღევანდელი ხელმძღვანელები უმთავრეს მნიშვნელობას აძლევენ პრაქტიკულ მუშაობას პალესტინაში.

**გერმანია.**

სოც.-დემოკრატიულ პარტიის კრების მოლოდინში „ფერვორცმა“ გამოაქვეყნა სია იმ საკითხებისა, რომლებიც წარმოადგინეს განსახილველად საარჩევნო ოლქებმა. პირველი ადგილი უკავია აგრარულს საკითხს, რომელიც წამოაყენეს კენისბერგმა და ჰამბურგმა. წინადადება მცირე რასმე მოითხოვს—განსაკუთრებული კომისიის დაარსებას აგრარული საკითხის შესასწავლად. თერთმეტი წინადადება შეეხება პირველ მაისობის დღესასწაულს და ერთი ოლქი თხოულობს, რომ დღესასწაული გადატანილ იქმნას მაისის პირველ კვირაზე. თითქმის ყველანი საჭიროდ სთვლიან მასსიურ გაფიცვის აზრის პროპაგანდას. რაც შეეხება საპარლამენტო მუშაობას, აქ ყურადღება მიქცეულია იმაზე, თუ რა გზას უნდა დაადგეს ფრაქცია სამხედრო გადასახადების განხილვის დროს. ზოგნი იწონებენ ფრაქციის მოქმედებას, ზოგნი ჰგმობენ. უეჭველია ცხარე კამათს გამოიწვევს კრებაზე ფრაქციის ტაქტიკა და საყოველთაო გაფიცვა.

# აკაკის ნაწერების გამოცემის გამო

აკაკის ნაწერების მეორე წიგნის გამოცემა ჩემგან დამოუკიდებელ გარეშე—საცენზურო და შინაგან—ტეხნიკურ მიზეზების გამო ამდენხანს დამიგვიანდა, რაც ორივე ახლანდელ პირობებში ნურავის გაუკვირდება.

დღეს, როგორც იქნა, ამ გაცოდვილებულ გამოცემას ეღირსა მზის სინათლე და იგი ცენზურაში მესამე დღეა ხელახლა გავგზავნე, ხვალ ეს წიგნი გასაყიდადაც გამოვა; რამდენიმე დღეს შემდეგ კი იგი სხვა ქალაქებშიც გაიგზავნება როგორც გასაყიდად, ისე აგენტებსაც ხელისმომწერლებისათვის. მხოლოდ ხელისმომწერლებისთვის გაეგზავნება იმ აგენტებს, რომელთაც აღებული ფული აქვთ გამოგზავნილი.

რაკი გამოცემის საქმე ჩვენდა უნებურად ასე დაგვიბრკოლდა და ხელისმომწერლებს ჩვენს გამოცემაზეც ეჭვში შევიდნენ, ბოდიშს ვიხდი მათთან და ვთხოვ იმ აგენტებს, რომელთაც ფული არ გამოუგზავნიათ, აიღონ იგი ხელისმომწერლებისაგან და დაუყონებლად გამოგვიგზავნონ, თუ უნდათ ისინი ადრე დააკმაყოფილონ და საყვედური კვლავ მაინც აღარ შეხვდეთ.

გამომცემლობა „იმერეთი“-ს ხელმძღვანელი **ისიდორე კვიცარიძე.**

# დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

**25—26 აგვისტო.**

**უცხოეთი.**

**ბელგრადი.** საზოგადოებრივი აზრი მოითხოვს, რომ სერბია ჩერნოგორიის დავა უცხოელთა ჩაურევლად გადასწყდეს. წინადადებას იძლევიან, რომ ეს საკითხი გადასწყვიტოს კომისიამ, რომელშიაც შევლენ სერბიისა და ჩერნოგორიის სკუპშჩინის წარმომადგენლები; აგრეთვე, რომ კომისიის გადაწყვეტილება, სავალდებულო იყოს ორივე მხარისათვის:

ფინანსთა მინისტრის წინადადებით სავაჭრო პალატამ სავაჭრო-პოლიტიკური კომისია დააწესა, რომელმაც უნდა დაამზადოს მასალა ავსტრია-ჰუნგრეთთან ხელშეკრულების გადათვალიერების შესახებ მოლაპარაკებისათვის.

**ცეტინიე.** რუსეთის სამხედრო აგენტი პოტაპოვი, როგორც ჩერნოგორიისა ღ ალბანეთის განმსაზღვრელ კომისიის წევრი, სკუტარს გაემგზავრა.

**სკოპლე.** საზღვრების საკითხით გამოწვეულ უთანხმოების გამო ჩერნოგორიის პირველი მინისტრი ვუკოტიჩი უკანვე დაბრუნდა ჩერნოგორიას. ელიან არბიტრაჟს.

ბერძენ-სერბიელების კომისიამ განსაზღვრის შესახებ მუშაობა შესწყვიტა უთანხმოებისა გამო.

**ვენა.** ოფიციოზურ წყაროებიდან იტყობინებიან, რომ ავსტრია-ჰუნგრეთის ელჩი ტურნდე კალსასინამ დიდიხანია ითხოვა პეტერბურგიდან გადაყვანა; თხოვნას ავადმყოფობითა და ოჯახური გარემოებით ასაბუთებდა, ახლო მომავალში ელჩის თხოვნა შესრულებული იქნება. მის ადგილას გრაფ შაპარის ასახელებენ.

**პარიზი.** მინისტრთა საბჭოს სხდომის დროს პიშონმა დეკრეტი წარადგინა, რომლითაც მაროკო საფრანგეთის იურისდიქციის ქვეშ იქნა გამოცხადებული, აგრეთვე ისპობა საფრანგეთის მოქალაქესთვის არსებული საკონსულო სასამართლოები. საზღვაო მინისტრმა წარადგინა დეკრეტი, რომ შესდგეს ადმირალიისტვოს საბჭო, რომელიც მინისტრს დახმარებას გაუწევს სატეხნიკო და სამხედრო საკითხების გადაწყვეტის დროს.

**რომი.** უსაფუძვლოა ხმები, ვითომც იტალია მზადაა საბერძნეთს დაჭერილი ტერიტორია დაუთმოს. იტალია თავისუფალი მოქმედების უფლებას იტოვებს.

**პარიზი.** სანდომინში კვლავ სარევოლუციო მოძრაობა დაიწყო.

**რუსეთი.**

**პეტერბურგი.** გამოცხადებულია უმაღლესად დაწესებული საგანგებო უმაღლესი კომისია, რომელმაც რუსეთის რკინის გზების საქმე უნდა გამოარკვიოს.

**კიევი.** ქალაქებში გადამდებ სენის წინააღმდეგ საბრძოლველ ღონისძიებათა გამომრკვევმა კრებამ აღნიშნა, რომ თუ სასკოლო რაციონალური სასანიტარო ნაწილი არ იქნება მოწყობილი, სკოლების გავრცელება ცუდად იმოქმედებს ამ სენის წინააღმდეგ ბრძოლაზე. ქალაქების საქმეა განახორციელოს სასკოლო სასანიტარო მეთვალყურეობა. სასურველად სცნეს, რომ ქალაქებმა ნივთიერი დახმარება გაუწიონ სასანიტარო სამზრუნველოებს და აგრეთვე მოქმედება შეუფარდონ საგუბერნიო და სამაზრო ერობების მოქმედებას. კრება დაიხურა. შემდეგი კრება მოხდება 1916 წელს ქ. ეკატერინოსლავში.

**რეველი.** სავარჯიშო სროლის დროს ნაღმოსან „პრიტოკომ“-ზე 75 მილემეტრიანი ზარბაზანი გასკდა. მოკლულია ორი მეზღვაური, სამიც მძიმედ დაიჭრა.

**რიგა.** „საერთო საელექტრონო კამპანიის“ ქარხნიდან 2,00 მუშა დაითხოვეს. ქარხანა დაიხურა. მუშაობს მხოლოდ 400 მუშა საგრამაფონო გახყოფილებაში.

# შემოწირულება

ბ-ნო რედაქტორო! მანგლისში აგარაკე ქართველი სცენის-მო[...] რენი და მათი დამხმარენი ვაგზავ[...] რა ამასთანავე ავადმყოფ მგო[...] იროდიონ ევდოშვილის სასარ[...] ლოდ ოც მანეთს (20 მან.), ვუს[...] ვებთ მ. ს ჩქარა გამომრთელებას [...] ბელი ხალხისა და მისი ლიტერა[...] რის წარსამატებლად და სასახელ[...]

**ნატალია ბარნაბაშვილისა, ტ. კ[...] ტოზაშვილი, ლევან სანოძე, ბ. კ[...] დარაშვილ[...]**

კავ. რკ. გზის „მასალათა განყო[...] ლებაში“ მოსამსახურეთა მიერ ი[...] დოშვილის სასარგებლოდ შეგრო[...] ლი: ათ-ათი შაური: მ. თოფურიძ[...] ხაზიშვილი, პ. თოფურია, მ. აგლაძ[...] გოგიბერიძე, ვ. ა. გოგავა, გ. ფ[...] შვილი; ექვს-ექვსი შაური: გ. ნ[...] ლიშვილი, ვ. გოგია, ა. ძამ[...] თითო აბაზი: მ. ქელიძე, ს. ჩი[...] ძე. სულ 4 მან. 80 კაპ.

# წერილი რედ. მიმარ[თ]

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩ[...] სად გთხოვთ, ეს მცირე წერილ[...] გადასცეთ—ჩვენი სულმნათი არ[...] ჯორჯაძის ძეგლის სასარგებლ[...] და ნება გვიბოძოთ, თქვენი გაზ[...] ფურცელზე გამოვსთქვათ ჩვენი მ[...] ხარება—რომ ერთიხანია თით[...] შესწყდა ის ალმაფრთოვანებელი [...] ვილი, რომელიც გაისმოდა ძეგლ[...] აგების გარშემო. შემომწირველ[...] სია: ხუთ-ხუთი მანეთი: პროვიზ[...] ანტონ და კოტე ლორთქიფანიძე[...] გრიგოლ ტყეშელაშვილი. სამ-[...] მანეთ: მიხეილ ჩხეიძემ და პო[...] კარპე გრიგოლაშვილმა, ფარმაც[...] ტებმა: ბიჭიკო კორძაიამ, ან[...] ქაჯაიამ, ალექსანდ. ლორთქიფა[...] ძემ. ორ-ორი მანეთი: თამარა ჩხ[...] კელის ასულმა, ანდრო გეგელაშვი[...] მა, აპოლონ ხანჯალიამ, ვლა[...] მერ მგალობლიშვილმა. თითო მა[...] თი: ნიკოლოზ კერესელიძემ, ო. ხუციშვილმა, ვანუა თეთრუაშვილ[...] კონსტანტინე ბაკონაშვილმა. [...] შაური: ალექსანდრე ავალიან[...] სულ 35 მ.

პატივისცემით **მიხ. ჩხეიძ[ე]**

ქ. ცხსენთუკი.

**რედაქტორ-გამომცემელი ა. ჭუმბაძე.**


# მატარებელთა მიმოსვლა

(ზაფხულობით)

18 აპრილიდან

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

**ტფილისიდან გადის.**

**ბაქოსაკენ:** № 6, **ჩქარი** პლაცკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 12, **სამგზ.-საბარგო** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, **სფოსტო** საღამ. 10 ს. 16 წ., № 8, **სამგზავ.** საღ. 6 ს. 29 წ., № 106, **ნარევი** მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 4 ს. 23 წ.

**ბათომისაკენ:** № 3 საფ. დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, **სჩქარო** პლაცკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **სამგზ.** ღამის 10 ს. 30 წ., № 107, **ნარევ.** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადასაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

**ბორჯომისაკენ:** № 17, **სახ.** დილ. 8 ს. 2 წ. (15 მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 19, **სამგზავრ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

**ცხეთაში:** № 65, **საბგარაკო** დილ. 8 ს. 16 წ., № 67, **საბგ.** ნაშუადღ. 2 ს. 43 წ.

ეს მატარებლები ივლიან პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე კვირა-უქმე დღეობით. მატარებელი № 67, უქმის წინა დღეებშიაც. ტფილისში უკანვე დაბრუნდებიან № 65 შუადღ. 12 ს. 5 წ. და № 67 საღ. 8 ს. 28 წ.

**ჯულფისკენ:** **საფ.** № 4,3, შუადღ. 12 ს. 51 წ.

**ყარსისკენ:** **სახ.** № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

**ერევანისკენ:** № 24,23, **საბარგ.-სამგზ.** საღ. 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

**ტფილისში მოდის:**

**ბაქოდან:** № 3, საფ. დილის 9 ს. 1 წ., № 11, **საბარ.-სამგზ.** დილ. 10 ს. 28 წ., № 7, **სამგ.** მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი, საშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, **სჩქარო**—პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, საღ. 9 ს. 35 წ., № 106, **ნარევ.**, მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 12 წ.

**ბათომიდან:** № 10, **სამგზ.** დილ. 8 ს. 40 წ. № 12, **სამგ.** შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, **სამგზ.** საღ. 5 ს. 54 წ., № 4, **საფ.** საღ. 9 ს. 16 წ., № 106, **ნარევი** ღამ. 2 ს 12 წ.

# ქალაქის საავადმყოფოები

**მიხაილის**—პუშკინის ქ., შესავალი გრაფის ქუჩიდან.

**ველბერისა**—კახეთის ქ. № 15.

**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.

**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

# ექიმ ნაგახარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

(დაარსებულია 1880 წელს)

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.**

**დ ი ლ ი თ:**

**„606“ და „914“**

**11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.**

**ბ. ა. ნაგახარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ბ. გ. აგახაროვი:** 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

**ქ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანახოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ო. ვ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.

**ქ. დ. გურგენიძე.** 1—2 საათ. შინაგანი, საბავშვო, ყვავილის აცრა, სისხლის და შარდის ბაქტერიოლოგ. გამოკვლევა. საღამოობით 6—7 საათამდე.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები ძლიერ იაფად.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ი. ა. ნაგახარდიანი.** 1004

# ფეხსაცმელები

**თომა დ. ჯახუტაშვილის**

**მაღაზია-სახელოსნოში,**

მუხრანის ქ. № 2.

ყოველნაირი:

**საკუთარი ღ პეტერბ.**



მეხანიკური ნაწარმოები. 527

**მშრომელ ხალხის საყურადღებოდ**

**ისყიდება** მეცხრე საპოლიციო უბანში პროტესტანტების სასაფლაოს გადაღმა (პოდგორნი ქუჩაზე, № 11. სამოვოლნი ქუჩიდან მეხუთე სახლი), მიწა და საგანგებოდ აშენებული ქვითკირის სახლი, ხუთი ოთახი ფართო ეზოთი. ახლო წყალია მიწა შეიცავს 70 კვად. საჟენს, სენთიანი ყველაფრითა. ძალიან ხელში აწვდომ ფასში. დაწვრილებითი ცნობები შეიძლება გიიგოთ ზუბალაშვილის სახალხო სახლის პირდაპირ; კიროჩნი ქუჩა, სახლი № 9. იკითხეთ პარიკ-მახერი **მენთეშაშვილი.** ბანკის ვალი აქვს 1000 მ.

# თ. ა. მთავრიშვილის წიგნის მაღაზია

ამით აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ ამა წლის 1913—1914 სასწავლო წლისათვის დამზადებული აქვს დიდ-ძალი

**სახელმძღვანელო და სხვა წიგნები,**

რომელნიც კი იხმარება ქალაქ ქუთაისისა და ქუთაისის გუბერნიის დაბალსა და საშუალო სასწავლებელში. **ფასები საკმაოდ დაკლებულია.**

მსურველთ შეუძლიანთ წიგნებთან ერთად მოითხოვონ ჩვენგან სხვა სასწავლო ნივთებიც: **რვეულები, კალმები, კალმისტარები, კარანდაშები, სახატავი რვეულები** და სხვა, რასაც ძლიერ დიკლებულ ფასად დაუყოვნებლივ მივაწვდით ბ-ნ **გოკიელის** საკანცელარიო მაღაზიიდან: **ადრესი:** ქუთაისი. ალექსანდრეს ქუჩა, ბოკერიის სახლი, ბულვართან, **თ. მთავრიშვილი.** 1413

სავაჭრო და სამრეწველო სამინისტროს განკარგულების ქვეშ მყოფი

# ბუჰგალტერიის პრაქტიკული კურსები ი. თ. პალატნიკოვისა.

თხოვნების მიღება და მსმენელთა ჩაწერა ყოველ დღე დილის 10 ს. აღ. 8 ს.-დე. **მეცადინეობა დაიწყება 15 ენკენისთვიდან.** კურსები იძლევიან საფუძვლიან და სრულ ცოდნას, ამზადებს საქტორო-ბუღალტერიისა და კორესპ. სამუშაოდ. კურსებზე შესული საფუძვლიანად სწავლობს: 1) ა) ბუღალ. ტ. ჩვეულებ. და ორმაგ: იტალ., ფრანგ., გერმან., ამერიკ. და ახალ რუსულ (ყველა სისტემით პრაქტიკულ სამუშაო), ბ) თვლა-ანგარიში: საზოგ., სავაჭრ., ბანკ., ქარხ., სასოფლო-სამეურ., 2) კომერც. ანგარ., 3) ვაჭრობის უფლება, 4) ვექსილის უფლება, 5) კომერციულ კორესპ., 6) ანგარ. ჩოთქზე, 7) კალიგრაფია, 8) მუშაობ. შესწ. საწერ მანქანაზე, 9) რუსული ენა, 10) ანგარიში, 10) **უცხო ენები:** ფრანგ. და გერმან. 12) საკომერც. კორესპ. უცხო ენებზე. **რუსული ენა ანგარიში და საწერ მანქანებზე ბეჭდვის სწავლება უფასოა მსმენელთათვის.** მიმდინარე წელს კურსებზე წავლობდა 182 კაცი, აქედან 3 საბუღალტ. **ჯგუფში** იყო 144. მასწავლებლებად არიან მოწვეულნი უმაღლესი განათლებით. სპეციალ. კურსების წესდება და პროგრამა უფასოა. 1430

**გამოსულია და იყიდება**

**ი. გედევანიშვილის პიესა**

# „გ ა მ ც ე მ ი“

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

# მუდამ დღე მოგვდის

თევზის მრეწველნი

**ძმ.**

# მებველოვები.

**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.**

**ტელეფონი № 712.**

ახალ-ახალი

**მტკვრისა თართი, ზუთხი, ლოქო, და სუდაკი.**

**ახალი მსხვილ მარცვლოვანი**

**ხიზილალა ქიტკა**

აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში **მარილი დოში, იანი, შიპა, ზურგიელები,** სხვა ყოველ-ნაირი **თ ე ვ ზ ე უ ლ ო ბ ა** და **კონსერვები.**

**საბუღალტრო კურსები**

# ბ. და მ. ტერ-დავიდიანცისა

ნიკოლაევის ქ., 36, ვორონცოვის ძეგლ ის ახლო. მიღება 4—7 საათ. საღამოთი. 141[...]

# საბუჰგალტერიო და საკანცელარიო ცოდნათა კურსები,

**არსებული ტფილისის პირველ საკომერციო სასწავლებელთან ორივე სქესისათვის** (მე-XIV წ. არს. შემ.).

კურსებზე ასწავლიან: ბუჰგალტერიას ორმაგ იტალიურ სისტემით, მრეწველობის სხვა ღ სხვა ნაწილის შესაფერისად; კომერციულ კორესპონდენციას, სავაჭრო უფლებას, კალიგრაფისა ღ მსურველთ საბეჭდ მანქანებზე ბეჭვდას, **სწავლა დაიწყება 16 სექტემბერს 1913 წ.** სწავლა გაგრძელდება არა ნაკლებ ექვსი თვისა. მეცადინეობა კვირაში სამჯერ იქნება, საღამოობით. **სწავლის ფასი სულ 40 მან.** თხოვნები ტფილისის საკომერციო სასწავლებლის დირექტორის სახელზედ მიიღება სასწავლებლის კანცელარიაში დილის 10 ს.—1 საათამდე. 1420

უფლებიანი **სავაჭრო სკოლა** უფლებიანი

# და საბუჰგალტერო კურსები ივანე ზაქ. ტერ-სტეფანოვისა.

მისაღები და დამატებითი გამოცდა **28 და 31 აგვისტოს.** მისაღებთა რიცხვი განსაზღვრულია (ერთ კლასში არა უმეტეს 24 შეგირდისა). მეცადინეობის დასაწყისი სკოლა 24 სექტემბერს, კურსებზე 16 სექტემბერს. **მიხეილის პროს. № 53.** 56[...]

**ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი**

# საკომერციო ცოდნათა კურსები ტ. მ. ფილოსიანისა,

ტფილისი, მიხეილის პროსპექტი, სახლი № 24—4, ტელეფ. № 976.

**სპეციალური საკომერციო განათლება ვაჟებისა და ქალებისათვის, კურსის დამთავრების შემდეგ მოწაფეებს ეძლევათ ატესტატი.**

პრაქტიკული მეცადინეობა ისეა მოწყობილი, როგორც Pitman-ის სასწავლებელში (ლონდონში) და Pigi-ის (პარიზში), Muster comptoir-ში. მასალები რეალურ ცხოვრებიდან აიღება:

**საგნები:** ა) სავალდებ.: 1) ბუჰგალტერია (უბრალო, იტალიური, გერმანული, ფრანგული, ამერიკული, საბანკო ღ საფაბრიკო-საქარხნო); 2) კომერციული არითმეტიკა. 3) პოლიტიკური-ეკონომია, 4) კანონები (სავაჭრო უფლება, სავექსილო წესდება. 5) კომერციული კორესპონდენცია. 6) არითმეტიკა ჩოთქზე. 7) კალიგრაფია, სწორი წერა, ხელის გასწორება. ბ) სავალდებულო: 1) **უცხო ენები.** 2) სტენოგრაფია. 3) დაქტილოგრაფია (რემინგტონი და სხვა) და 4) კომერციული კორესპონდენცია უცხო ენებზე.

მეცადინეობა შეიძლება აგრეთვე თითოეულად. თხოვნები მიიღება 10—12 ს., დილით და 4—7 ს. საღამ. მეცადინეობა დაიწყება **15 ენკენისთვიდან.** პროგრამები და წესები მიეცემათ და გაეგზავნებათ მსურველებს უფასოდ კურსების სადგომიდან. კურსები კარგ მოწაფეთათვის მეცადინეობენ სავაჭრო სახლებში ადგილის საშოვნელად. მიმდინარე წელს სულ 284 მსმენელი იყო, ამათგან 53 ქალი. 1424


მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“.